



N° 006011/31

28/02/2025

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის
პრეზიდიუმის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის
საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმი (შემდგომ – პრეზიდიუმი) შემდეგი
შემადგენლობით:

1. ცოტნე ყავლაშვილი – გენერალური აუდიტორი.
2. ზაზა შეყილაძე – გენერალური აუდიტორის მოადგილე.
3. გიორგი კეკელიშვილი – საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი.
4. ფრიდონ შენგელია – თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი.
5. მარიამ ზაალიშვილი – სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი.
6. გიორგი მამრიკიშვილი – თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტის უფროსი.
7. ნოე ქაშიბაძე – აუდიტის დეპარტამენტის უფროსი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში.
8. გიორგი კაპანაძე – ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტის უფროსი.
9. გიორგი გაჩეჩილაძე – ინფორმაციული ტექნოლოგიების ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსი.
10. ცოტნე ქარქაშაძე – სახელმწიფო ბიუჯეტისა და სტრატეგიული ანალიზის დეპარტამენტის უფროსი.
11. ალექსანდრე გოგოლაშვილი – აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი.
12. ნატო ზაალიშვილი – იურიდიული დეპარტამენტის უფროსი.
13. ზაზა გელაშვილი – შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსი.

საჩივრის ავტორი: სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (შემდგომ – ფონდი).

წარმომადგენელი: ფონდის აღმასრულებელი დირექტორი – დავით ტაბიძე, იურისტი – ვაჟა კალმახელიძე, ფინანსური დეპარტამენტის უფროსი – სერგი მესხი, ხარისხის კონტროლის დეპარტამენტის სპეციალისტი – ზაზა კალანდაძე.

მოწინააღმდეგე მხარე: ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი.

წარმომადგენლები: ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი – თორნიკე შერმადინი, მთავარი აუდიტორი – ქართლოს სახვაძე, მთავარი აუდიტორი – ნოდარ ვეკუა, წამყვანი აუდიტორი – გიორგი ბერუჩაშვილი, უფროსი აუდიტორ-ასისტენტი – გიორგი სულაძე.

დავის საგანი: ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2025 წლის 20 იანვარს დამტკიცებული სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის პროგრამა – „საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის“ 2019-2022 წლების შესაბამისობის აუდიტის N2/36 ანგარიშის: ა) 2.1, 2.2, 2.3, 2.4, 2.5, 2.10, 2.11, 2.14, 2.15 ქვეთავების ბათილად ცნობა; ბ) 2.7 და 2.8 ქვეთავების კორექტირება; გ) 2.9 ქვეთავის ბათილად ცნობა ან კორექტირება.

I

აღწერილობითი ნაწილი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურს 2025 წლის 11 თებერვალს საჩივრით მომართა ფონდმა (MRDI-MDF N277-გ, 11.02.2025წ.; სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგისტრაციის ნომერი და თარიღი: N3343/29, 11.02.2025წ.) და მოითხოვა ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2025 წლის 20 იანვარს დამტკიცებული სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის პროგრამა – „საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის“ 2019-2022 წლების შესაბამისობის აუდიტის N2/36 ანგარიშის ნაწილობრივ ბათილად ცნობა. ფონდმა საჩივარშივე მიუთითა, რომ კონკრეტულ დასაბუთებას შესაბამისი მტკიცებულებებით წარმოადგენდა საჩივრის განხილვისას.

პრეზიდენტის საოქმო გადაწყვეტილებით (სხდომის ოქმი N003950/30, 13.02.2025წ.) ფონდის საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, ზეპირი მოსმენის სხდომა ჩაინიშნა 2025 წლის 25 თებერვალს, ხოლო საჩივრის ავტორს მიეცა შესაძლებლობა, საჩივარში დასმულ საკითხებთან (მოთხოვნა) დაკავშირებით წარმოედგინა დამატებითი მოსაზრებები/დოკუმენტები მიმდინარე წლის 20 თებერვლამდე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურს 2025 წლის 19 თებერვალს დაზუსტებული საჩივრით მომართა ფონდმა (MRDI-MDF N366-გ, 19.02.2025წ.; სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგისტრაციის ნომერი და თარიღი: N5781/29, 19.02.2025წ.), წარმოადგინა დამატებითი მოსაზრებები/დოკუმენტები და მოითხოვა ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2025 წლის 20 იანვარს დამტკიცებული სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის პროგრამა – „საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის“ 2019-2022 წლების შესაბამისობის აუდიტის N2/36 ანგარიშის: ა) 2.1, 2.2, 2.3, 2.4, 2.5, 2.10, 2.11, 2.14, 2.15 ქვეთავების ბათილად ცნობა; ბ) 2.7 და 2.8 ქვეთავების კორექტირება; გ) 2.9 ქვეთავის ბათილად ცნობა ან კორექტირება.

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტმა წარმოადგინა წერილობითი მოსაზრებები საჩივრის მოთხოვნასთან დაკავშირებით.

დაინტერესებული მხარეების (ფონდი და ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი) მონაწილეობით ზეპირი მოსმენა გაიმართა 2025 წლის 25 თებერვალს.

საჩივრის ავტორის მოთხოვნა:

1. ქვეთავი 2.1 – პროექტირება-მშენებლობის სამუშაოების სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის ნაკლოვანება

ამ ქვეთავთან დაკავშირებით საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ აუდიტის ანგარიშში არ არის დაკონკრეტებული რა პერიოდში და რა კონტრაქტებთან მიმართებით გამოიყენება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაცია კრიტერიუმად. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაცია თარიღდება 2021 წლის 30 ივნისით, რომლის გამოცემამდე მომხდარი მოვლენების შესაფასებლად მისი კრიტერიუმად მოყვანა იმ კონტექსტში, რომელიც შეიძლება გახდეს ფონდისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი – არასწორია, ვინაიდან რეკომენდაცია შესასრულებლად არ არის სავალდებულო, თუმცა

სავალდებულო ხასიათი რომც ჰქონდეს, მაინც არ უნდა გამოყენებულიყო, რადგან ირღვევა „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხლის დანაწესი.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ 2019-2020 წლებში ბაზრის კვლევის ჩატარების ვალდებულება არ არსებობდა შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობით, თუმცა ფონდი ბაზრის კვლევას მაინც ატარებდა ე.წ. Design-Build (ერთი ხელშეკრულების ფარგლებში პროექტირება-მშენებლობა) მეთოდით. საჯარო სკოლების მშენებლობის ელექტრონული ტენდერების გამოცხადებამდე, ფონდი ბაზრის კვლევას ახორციელებდა და შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების დადგენის მიზნით იყენებდა სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ განხორციელებულ შესყიდვებს (NAT180009095, NAT180009306, spa160024580 და სხვა ტენდერები).

საჩივრის ავტორის განმარტებით, ტენდერების გამოცხადებამდე ფასის ანალიზი დამატებით განხორციელდა შემდეგი მეთოდოლოგიით: სკოლის შენობის სამშენებლო სამუშაოების სავარაუდო ღირებულება განსაზღვრულია სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გადმოგზავნილი სამი სკოლის: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანიეთის (გაფასებული 2016 წელს), ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვალონის (გაფასებული 2017 წელს) და გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კაჭრეთის (გაფასებული 2018 წელს) წარმოდგენილი სკოლების გაფასებების ანალოგის მიხედვით, სადაც სკოლის სასწავლო შენობის ერთი კვადრატული მეტრის საორიენტაციო ღირებულებას დაემატა ღია სპორტული მოედნის, დამხმარე ნაგებობების, გარე კომუნიკაციების და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები. 2019 წლის მე-3, მე-4 კვარტლისათვის მასალების და მუშახელის გაძვირების გამო გამოთვლილ იქნა გაძვირების საშუალო კოეფიციენტი, რომელმაც, დაახლოებით, 1,05-1,06% შეადგინა და ამის გათვალისწინებითაც განისაზღვრა მშენებლობის წინასწარი სატენდერო ხარჯთაღრიცხვის ღირებულება. სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ღირებულების განსაზღვრისათვის დაემატა ტერიტორიის ტოპოგრაფიის, გეოლოგიური კვლევების, ექსპერტიზის და საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების ღირებულება.

საჩივრის ავტორის განმარტებით, ჯანსაღი კონკურენციის და შესყიდვის მონაწილეთა მიმართ პროპორციული და არადისკრიმინაციული მიდგომის უზრუნველსაყოფად, 2019 წლის იანვარში, ზემოაღნიშნული ელექტრონული ტენდერების გამოცხადებამდე ფონდმა გამართა ღია კარის დღე პოტენციური მიმწოდებლებისთვის, სადაც სამშენებლო კომპანიების წარმომადგენლებთან ერთად განხილულ იქნა სატენდერო პირობები.

ამასთანავე, საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ რეკომენდაცია ბაზრის კვლევის მეთოდებთან დაკავშირებით გამოთქმული იყო საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის 2022 წლის ანგარიშში, რაც გათვალისწინებული იყო ფონდის მიერ მომდევნო ტენდერებში. ფონდის მიერ 2020 წლიდან 2022 წლის ჩათვლით პერიოდში, ჯამში ჩატარდა 20 ბაზრის კვლევა; აქედან, სახელმწიფო დაფინანსებისთვის იყო 15 ბაზრის კვლევა, ხოლო დონორისთვის – 5 ბაზრის კვლევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ აუდიტის ანგარიშის 2.1 ქვეთავი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი და მოხდეს აუდიტის ანგარიშიდან მისი ამოღება.

2. ქვეთავი 2.2 – წინასწარ ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

ამქვეთავთან დაკავშირებით საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ აუდიტის ანგარიშში განვითარებულია შეცდომაში შემყვანი მსჯელობა, თითქოს ყოველი მოწოდებული სამუშაოდან საავანსო გარანტიის თანხის დაქვითვა ფონდში დანერგილი პრაქტიკაა და არა საერთაშორისოდ გავრცელებული ქცევის წესი.

საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ფონდის მიერ სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების თანახმად, მიმწოდებელ კომპანიებზე გასაცემი ავანსის ოდენობას და პერიოდულობას განსაზღვრავს შემსყიდველი, ხოლო საავანსო თანხის დაქვითვა ხორციელდება შემსყიდველის მიერ პროპორციულად. ფონდი თავის საქმიანობაში მიჰყვება საერთაშორისო პრაქტიკას (მათ შორის, FIDIC კონტრაქტის პირობებს), რომლის მიხედვით ავანსი წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტს კონტრაქტორისთვის სამობილიზაციო ხარჯების დასაფარად. COVID-19-ის პანდემიის და პოსტ-პანდემიის პერიოდის გამოწვევების გათვალისწინებით, ფონდი თითოეულ ხელშეკრულებას განიხილავდა ინდივიდუალურად და პროექტის ინტერესებიდან გამომდინარე იღებდა შესაბამის გადაწყვეტილებას მიმწოდებლის მომართვის საფუძველზე ზემოაღნიშნული გამოწვევების გადასაფარად, რაც შეიძლება ყოფილიყო ავანსის ოდენობის ზრდა ან მისი დაქვითვის გრაფიკის ცვლილება, პროექტის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით.

საჩივრის ავტორის განმარტებით, თითოეული წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში ხორციელდებოდა ერთგვაროვანი მიდგომა, კერძოდ, ავანსის არ დაქვითვის მოთხოვნის დაკმაყოფილება. შესაბამისად, არაერთგვაროვან მიდგომაზე აუდიტის ანგარიშში მსჯელობა საფუძველს მოკლებულია.

საჩივრის ავტორის მოსაზრებით, ფონდისთვის წერილობითი მოთხოვნა, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას, როგორცაა, ხელშეკრულების ნომერი, განსახორციელებელი სამუშაო და მოთხოვნილი საავანსო ანგარიშსწორების პროცენტი თანდართული საბანკო გარანტიის დოკუმენტით, წარმოადგენს საკმარის არგუმენტს წინასწარი ანგარიშსწორების განსახორციელებლად; ასევე: აუდიტის ჯგუფის მსჯელობა შესაძლო რისკებზე ვერ იქნება დაზღვეული გაცემული საავანსო თანხის ხარჯვის კონტროლით, ვინაიდან რისკის დაზღვევას წარმოადგენს საავანსო გარანტია, რომელიც გაცემულ ფინანსებს სრულად აზღვევს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ აუდიტის ანგარიშის 2.2 ქვეთავი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი და მოხდეს აუდიტის ანგარიშიდან მისი ამოღება.

3. ქვეთავი 2.3 – რეაბილიტაციის პროექტების ნაკლოვანებები

ამ ქვეთავთან დაკავშირებით საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ფონდმა საჯარო სკოლების რეაბილიტაციის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვა დაიწყო 2019 წლის 1 აპრილს. სულ, ჯამში გამოცხადდა 16 ტენდერი, ბოლო ტენდერი კი – 29 მაისს. 12 ტენდერი შედგა, ხოლო 4 ტენდერი არ შედგა (არცერთმა პრეტენდენტმა არ მიიღო მონაწილეობა). ზემოხსენებული 12 ტენდერიდან 6-ში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ შპს „სამეცნიერო, საპროექტო-ტექნოლოგიური საწარმო ინდუსტრიამ“, ხოლო დანარჩენ 6-ში მონაწილეობა მიიღო რამდენიმე პრეტენდენტმა, საიდანაც 4 ტენდერში, ყველაზე დაბალი ფასის და საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად, გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „საპროექტო-ტექნოლოგიური საწარმო ინდუსტრია“, ხოლო 2 ტენდერში – ამხანაგობა „ინჟარქიტექტი“ და შპს „გრინ სტუდიო“. სახელმწიფო ტენდერები ცხადდებოდა რამდენიმე დღიანი ინტერვალით და წინადადებების მიღება სრულდებოდა, ძირითადად, 15 დღეში. შესაბამისად, საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ამ პერიოდისთვის შეუძლებელი იყო შემსყიდველს წინასწარ სცოდნოდა ტენდერში პოტენციურად მონაწილეების რაოდენობა ან რაიმე დამატებითი რისკი.

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ ფონდის მხრიდან მიწოდებული ინფორმაციის მიუხედავად, აუდიტის ანგარიშში მსჯელობა მიმდინარეობს ორ, სხვადასხვა ფორმის შესყიდვაზე ერთობლივად, რაც არასწორია, ვინაიდან საკონსულტაციო-საპროექტო მომსახურების შესყიდვისას ფონდი არ იყენებდა ფინანსურ ფორმულებს, თუმცა ამასთან დაკავშირებით არ არის მსჯელობა აუდიტის ანგარიშში. საჩივრის ავტორის მოსაზრებით, განსაკუთრებული გარემოება ვერ იქნებოდა განხილული აღნიშნული საპროექტო ტენდერების გამოცხადების დროს, რადგან ხელოვნურად საკვალიფიკაციო მოთხოვნების გამკაცრებას და კონკურენციის შეზღუდვას გამოიწვევდა.

პროექტების ცვლილებასთან დაკავშირებით, საჩივრის ავტორი მიუთითებს სარეაბილიტაციო შენობების პროექტების სირთულესა და საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ გარემოებებზე და განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული ცვლილება არ არის დამოკიდებული შესასრულებელი პროექტების რაოდენობაზე. რაც შეეხება საპროექტო დოკუმენტაციის უზუსტობებს, მსგავსი საკითხები კონტრაქტებში იკვეთება, როდესაც საქმე ხანგრძლივ პერიოდზე გათვლილ ხელშეკრულებას ეხება. სამშენებლო პროცესის მიმდინარეობისას შესაბამისი ცვლილებები ხორციელდება კანონის დაცვით. შესაბამისად, საჩივრის ავტორის მოსაზრებით, ამ საკითხზე მსჯელობისას აუდიტის ანგარიშში უგულებელყოფილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლი, რომელიც მხარეებს შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგებისკენ მოუწოდებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ აუდიტის ანგარიშის 2.3 ქვეთავი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი და მოხდეს აუდიტის ანგარიშიდან მისი ამოღება.

4. ქვეთავი 2.4 – ხელშეკრულებებში კონტროლის მექანიზმების ნაკლოვანებები

ამ ქვეთავთან დაკავშირებით საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ფონდს სარეაბილიტაციო ობიექტის დემონტირებული, ვარგისი მასალების სამშენებლო სამუშაოების დროს გამოყენების უფლება არ გააჩნია. მითითებული სკოლების შენობა-ნაგებობები წარმოადენს სკოლის საკუთრებას, რაც აღრიცხულია მათ ბალანსზე და ექვემდებარება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში კონსოლიდაციას. აქედან გამომდინარე, სკოლის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟის დროს დარჩენილი ვარგისი მასალების აღრიცხვა უნდა უზრუნველყოს თავად ქონების მესაკუთრემ – შესაბამისმა საჯარო სკოლამ; ასევე, საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ დემონტაჟის შემდეგ დარჩენილი ვარგისი მასალების მესაკუთრის მიერ განკარგვის ნაწილში რაიმე პრობლემის არსებობის შესახებ, ფონდისთვის ცნობილი არ არის. საჩივრის ავტორი აუდიტის ანგარიშის რეკომენდაცია N1-თან დაკავშირებით მიუთითებს, რომ ზემოაღნიშნულ აუდიტორულ მიგნებაზე დაფუძნებული რეკომენდაცია არ ემყარება რეალურ ფაქტებს და ვერ იქნება ფონდის მიერ გაზიარებული.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ფონდი შპს „აღმაშენებელი ქუთაისი“ NAT200015650 ტენდერის საფუძველზე გაფორმებული GOG/ET/CW/345 ხელშეკრულების მიხედვით სკოლების რეაბილიტაციის პროექტს ახორციელებდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამ სოფელში: ზომლეთში, ბუკისციხესა და სამებაში. სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობას ახორციელებდა ფონდის მშენებლობის ზედამხედველობის დეპარტამენტის ინჟინერი. ხელშეკრულების შეწყვეტამდე აღნიშნულმა დეპარტამენტმა სამივე ობიექტზე გაგზავნა ფონდის ინჟინრები, შესრულებული სამუშაოების მოცულობების გადასამოწმებლად. საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ პროექტის შეწყვეტის ან დასრულების შემთხვევაში, ფონდის მშენებლობის ზედამხედველობის დეპარტამენტში დანერგილია პრაქტიკა, როდესაც ხორციელდება შესრულებული სამუშაოების მოცულობების გადაზომვა/შემოწმება 2-3 ინჟინრისგან შედგენილი ჯგუფის მიერ, რაც მისი მოსაზრებით, მაქსიმალურად აზღვევს ფონდს საბოლოო მოცულობების აზომვის დროს შესაძლო შეცდომებისგან. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ზემოთ მითითებულ სამ ობიექტზე მიმდინარე სამუშაოების (იზო-ალუმინის კარ-ფანჯრების მონტაჟი და ფასადების მოწყობა) მოცულობების დადგენის დროს, ინჟინრის მხრიდან აღმოჩენილ იქნა შეუსაბამობა, რამაც ჯამში შეადგინა – 110,025.58 ლარი. ამის თაობაზე შედგა შესაბამისი აქტი, რომლის საფუძველზეც კონტრაქტორს სარეზერვო თანხიდან ჩამოეჭრა 110,025.58 ლარი. შესაბამისად, ფინანსური ზიანი ფონდს არ მიუღია.

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ ზემოაღნიშნულის მიუხედავად, აუდიტის ანგარიშში აუდიტორი მსჯელობს კონტროლის მექანიზმების ნაკლოვანებაზე და საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივ განკარგვაზე; აქვე აღსანიშნავია, რომ ანგარიშში მოცემული მსჯელობა სრულად დაფუძნებულია ფონდის მიერ გამოვლენილ და განხორციელებულ ქმედებებზე, რაც ფაქტობრივად მიუთითებს და ადასტურებს, რომ ფონდი ახორციელებს კონტრაქტის კონტროლს.

შესაბამისად, საჩივრის ავტორის მოსაზრებით, მოთხოვნა, რომ სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისას ზედამხედველთან (კონტრაქტორი ან შიდა დეპარტამენტი) ერთად მოხდეს დამატებით აკრედიტებული პირის ჩართვა, გამოიწვევს როგორც ღირებულების გაძვირებას, ასევე დროში საქმიანობის გაჭიანურებას, რაც, თავის მხრივ, ნაკლოვანებას გამოიწვევს ეფექტიანობის და რაციონალური ხარჯვის პრინციპის კუთხით.

ასევე: ამ ქვეთავის მესამე კრიტერიუმთან დაკავშირებით საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ კონტრაქტორის მიერ ობიექტის დასრულების შემდგომ, სამუშაოების მიმდინარეობის ამსახველი დოკუმენტაციის წარმოდგენის ვალდებულება ისედაც განსაზღვრულია კანონმდებლობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ 2.4 ქვეთავი, ასევე მასზე დაყრდნობით გაცემული რეკომენდაცია N1 და რეკომენდაცია N2 ბათილად უნდა იქნეს ცნობილი და მოხდეს აუდიტის ანგარიშიდან მისი ამოღება.

5. ქვეთავი 2.5 – ხელშეკრულების პირობების შესრულების ნაკლოვანება

ამ ქვეთავთან დაკავშირებით საჩივრის ავტორი არ ეთანხმება აუდიტორულ მსჯელობას კონტროლის მექანიზმების ნაკლოვანებაზე და არასათანადო ხარისხით შესრულებული სამუშაოების რისკებზე, მაშინ როდესაც აუდიტორი ეყრდნობა ფონდის ხარისხის კონტროლის დეპარტამენტის (რომლის პირდაპირი ფუნქციაა აკონტროლოს, როგორც ტექნიკური ბაზის და პერსონალის, ასევე შესრულებული სამუშაოს ხარისხი) მიერ გამოვლენილ და განხორციელებულ ქმედებას, რითაც ადასტურებს, რომ ფონდი ახორციელებს კომპანიების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის კონტროლს და ადგენს დასაქმებული ძირითადი სპეციალისტების კომპეტენციის შესაბამისობას, განსახორციელებელ სამუშაოებთან მიმართებით.

ფონდი განმარტავს, რომ სამუშაოების შესყიდვის პროცესში პრეტენდენტი კომპანიების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და დასაქმებული ძირითადი სპეციალისტების კომპეტენციის შეფასებას სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობაც არ ითვალისწინებს, ვინაიდან ამგვარი პრაქტიკა მნიშვნელოვნად შეზღუდავდა ჯანსაღ კონკურენციას, დაავალდებულებდა კომპანიებს, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაში ჰქონოდათ სხვადასხვა მანქანა-დანადგარები, რომელთა დროებითი ქირავნობა თავისუფლად შესაძლებელია ღია ბაზარზე საჭიროების მიხედვით. ამგვარი მოთხოვნა გამოიწვევდა არარაციონალურ ხარჯს კომპანიებისათვის და სამუშაოების შესყიდვის ფასის გაზრდას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ 2.5 ქვეთავი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი და მოხდეს აუდიტის ანგარიშიდან მისი ამოღება.

6. ქვეთავი 2.7 – ჯარიმების დაკისრების ნაკლოვანება

ამ ქვეთავთან დაკავშირებით საჩივრის ავტორი არ ეთანხმება აუდიტორულ შეფასებას, რომ ფონდს ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში კონტრაქტორებისთვის ჯარიმის დარიცხვის არაერთგვაროვანი პრაქტიკა გააჩნია და განმარტავს, რომ ამავე ქვეთავში მითითებულ სკოლებზე მიმდინარეობს სასამართლო დავა და პირგასამტეხლოს დარიცხვა განხორციელდა ერთგვაროვანი მიდგომით. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ფონდის მიერ დაცულია ხანდაზმულობის ვადები. ასევე, ფონდი მიუთითებს აუდიტის ანგარიშში არსებულ ტექნიკურ უზუსტობაზე, კერძოდ, ტექსტში მოყვანილი შეწყვეტილი კონტრაქტების რაოდენობა (5 სკოლა), არ ემთხვევა ცხრილში ჩამოთვლილი კონტრაქტების რაოდენობას (7 სკოლა).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ 2.7 ქვეთავი შეიცვალოს, დაკორექტირდეს და აუდიტის ანგარიშიდან ამოღებულ იქნეს ჩანაწერი: „ფონდს ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში კონტრაქტორებისთვის ჯარიმის დარიცხვის არაერთგვაროვანი პრაქტიკა გააჩნია“.

7. ქვეთავი 2.8 – ობიექტების დაზღვევის ნაკლოვანებები

ამ ქვეთავთან დაკავშირებით საჩივრის ავტორი არ ეთანხმება აუდიტორის შეფასებას და განმარტავს, რომ საქართველოს კანონმდებლობით სადაზღვევო პოლისის წარუდგენლობა ხელშეკრულების შეწყვეტის ვალდებულებას არ წარმოშობს, ამდენად, ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ფონდის უფლებამოსილებას წარმოადგენს და არა ვალდებულებას. ფონდის განმარტებით, საპირისპიროს არც აუდიტორი ამტკიცებს, თუმცა დასკვნის ბოლოს არსებული ჩანაწერი ქმნის განცდას, რომ ხელშეკრულების შეწყვეტა ფონდისთვის არა უფლებამოსილება, არამედ ვალდებულება იყო და ეს მას არ განუხორციელებია.

შესაბამისად, საჩივრის ავტორი ითხოვს, რომ დაკორექტირდეს აუდიტის ანგარიშის 2.8 ქვეთავი და ჩანაწერი: „არც ფონდის მიერ არ განხორციელებულა“, იქნეს ამოღებული.

8. ქვეთავი 2.9 – საბანკო გარანტიების წარმოდგენისას არსებული ხარვეზები

ამ ქვეთავთან დაკავშირებით საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ავანსის გარანტიები ხელშეკრულების შესრულებასთან ერთად იქვითება და მცირდება, შესაბამისად, არ ეთანხმება დანართში N2-1 აუდიტორის მიერ ასახულ თარიღებსა და ავანსის გარანტიის სრულ თანხას, რადგან მითითებული თარიღებისთვის ავანსი სრულად გაქვითული ან გამოთხოვილი იყო.

ფონდი განმარტავს, რომ GOG/ET/CW/559 ხელშეკრულებით მითითებული გარანტიის მოქმედების ვადა იყო 2023 წლის 18 აპრილი. გარანტია შესრულებული სამუშაოებით საბოლოოდ გამოიქვითა 2023 წლის 9 მარტს, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტებით (დანართი N3), შესაბამისად, ამ გარანტიებთან მიმართებით ვადის დენადობა უნდა შეწყვეტილიყო 2023 წლის 9 მარტს და არა 2023 წლის 17 ივნისს; ასევე: GOG/ET/CW/481 ხელშეკრულების შეწყვეტაზე 2023 წლის 6 თებერვალს კონტრაქტორთან გაიგზავნა შეტყობინება, ხოლო 2023 წლის 7 თებერვალს ხელშეკრულების ფარგლებში ორი საავანსო და ერთი ხელშეკრულების შესრულების გარანტიაზე ფონდის მიერ გაგზავნილ იქნა საგარანტიო თანხების გამოთხოვის წერილები (დანართი N4).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჩივრის ავტორი მოითხოვს 2.9 ქვეთავის აუდიტის ანგარიშიდან ამოღებას ან დაკორექტირებას და გარანტიის მოქმედების ვადის დენადობის ათვლას, მათ მიერ საჩივარში მითითებული ავანსების შესაბამისად, ასევე აღნიშვნას, რომ გარანტიების გამოთხოვა განხორციელდა და ფინანსური რისკი არ დამდგარა.

9. ქვეთავი 2.10 – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და შესრულებული სამუშაოს ანგარიშების ნაკლოვანებები

ამ ქვეთავთან დაკავშირებით საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ანგარიშში მითითებულია არასწორი ინფორმაცია და იქმნება აღქმა, რომ სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულია დეტალიზაციის რაიმე კონკრეტული დონე, რომელიც 11 შემთხვევაში კონტრაქტორმა ვერ დააკმაყოფილა. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ სატენდერო დოკუმენტაცია არ განსაზღვრავს ხარჯთაღრიცხვის დეტალიზაციის დონეს და კონტრაქტორს ავალდებულებს მხოლოდ მისთვის მისაღები დეტალიზაციით წარდგენას.

საჩივრის ავტორის განმარტებით, დეტალური ხარჯთაღრიცხვის დეფინიცია ზოგადია და აუდიტის ჯგუფის მიერ არასწორად არის გაგებული, როგორც რესურსული, რადგან ფონდი არ ითხოვდა რესურსულ ხარჯთაღრიცხვას ტენდერის (ე.წ. Design-Build) მეთოდიდან გამომდინარე და კონტრაქტორებს მიეცათ უფლება – წარმოედგინათ მათთვის მოსახერხებელი გადახდის ფორმაზე მორგებული ხარჯთაღრიცხვა. საჩივრის ავტორის მოსაზრებით, აუდიტის ანგარიშში არ არის განმარტებული, რა კრიტერიუმებით იხელმძღვანელა აუდიტის ჯგუფმა, როდესაც 33 ხარჯთაღრიცხვიდან 11 არ ჩათვალა საკმარისად დეტალურად, ხოლო დანარჩენი 22 – დეტალურად.

შესრულებული სამუშაოს მოცულობებთან და მათთან დაკავშირებულ დოკუმენტაციასთან მიმართებით, საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ეს საკითხები აუდიტის ჯგუფს განხილული აქვს მხოლოდ ხელშეკრულების მე-6 მუხლის (შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი) 6.2.1 და 6.2.2 პუნქტების გათვალისწინებით და არა 6.2.4 პუნქტით, რომლითაც განსაზღვრულია დოკუმენტაციის მიღების და ანაზღაურების ფორმა.

საჩივრის ავტორის მოსაზრებით, აუდიტორმა მსჯელობა განავითარა მხოლოდ 11 სკოლაზე იმ არგუმენტით, რომ იგი თითქოს ვერ დარწმუნდა ანაზღაურებული ხარჯების წარმომოხსნასა და სისწორეში, მაშინ როდესაც ამ 11 სკოლიდან, მაგალითად, ერთ-ერთ სკოლაზე (NAT190003045, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჰერეთისკარის სკოლა) კონტრაქტორმა გამოიყენა ინდექსაცია 2020 წლის 31 მარტს გამოცემული განკარგულება N619-ის შესაბამისად, რაც თავის მხრივ, გულისხმობდა სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის წარმოდგენას გაწეული დანახარჯების და გაზრდილი ხარჯების დადასტურებისთვის. ექსპერტიზა დარწმუნდა ხარჯთაღრიცხვის სისწორეში და გასცა დასკვნა 2022 წლის 30 მარტს ნომრით 5001490222, რის საფუძველზეც ფონდმა ანაზღაურა საკომპენსაციო ღირებულება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ აუდიტის ანგარიშის 2.10 ქვეთავი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი და მოხდეს აუდიტის ანგარიშიდან მისი ამოღება.

10. ქვეთავი 2.11 – რეაბილიტაციის პროექტების კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზის ხარვეზები

ამ ქვეთავთან დაკავშირებით საჩივრის ავტორი არ ეთანხმება აუდიტის ანგარიშში მოცემულ აუდიტორულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სკოლების რეაბილიტაციის პროექტების კონსტრუქციულ ნაწილში ცვლილებები განხორციელებულია შესაბამისი აკრედიტებული პირის საექსპერტო დასკვნის გარეშე. ფონდი მიიჩნევს, რომ აუდიტორული მსჯელობა წინააღმდეგობრივი ხასიათისაა. კერძოდ, ერთი მხრივ, აუდიტორი აღნიშნავს, რომ სკოლების რეაბილიტაციის პროექტების კონსტრუქციული ნაწილის ცვლილებებზე შემუშავებულია ტექნიკური საბჭოს (რომლის ყველა წევრს გააჩნია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N256 დადგენილებით გათვალისწინებული ცენზი) დასკვნა, ხოლო ხელშეკრულებები, სადაც არ არის საჭირო აკრედიტირებული პირის საექსპერტო დასკვნა, აუდიტორი მიუთითებს, რომ ზემოაღნიშნული დასკვნა არ არის გამოყენებული.

მოცემულ საკითხზე საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ აუდიტის ჯგუფი მსჯელობას ავითარებს მცდარ ფაქტზე დაყრდნობით, თითქოს ზოგიერთ შემთხვევაში ცვლილებები შესაბამისი აკრედიტებული პირის საექსპერტო დასკვნის გარეშე განხორციელებილი. ერთ მსჯელობაში აქვს განხილული ორი განსხვავებული ტენდერი (მომსახურების და სამშენებლო) და არ აქვს გაკეთებული დიფერენცია, რაც ქმნის განცდას – ორივე ტენდერის მიმართ ერთი და იმავე მეთოდის გამოყენების შესახებ. საპროექტო მომსახურების ტენდერის პირობას წარმოადგენდა კონსტრუქციული ნაწილის მოქმედ ნორმატიულ დეკუმენტებთან შესაბამისობის დამოწმება აკრედიტებული პირის მიერ, რომელიც თავად აუდიტის ჯგუფის მიერაც არის დადასტურებული, ხოლო სამშენებლო ტენდერის პირობა არ ითვალისწინებდა მსგავს მოთხოვნას. სამშენებლო პროცესში ცვლილებები, მათ შორის, კონსტრუქციული, ხორციელდებოდა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N256 დადგენილების მიხედვით, რომელიც განსაზღვრავს კონსტრუქციული საექსპერტო შეფასებისთვის ცენზს. შესაბამისად, კონტრაქტებით პროექტში ცვლილების დოკუმენტის ტექნიკურ ნაწილს ამზადებდა მშენებელი, რაზედაც თანხმობას იძლეოდა როგორც პროექტის ავტორი, ასევე ფონდის ტექნიკური სამსახური და ახლდა ფონდის ტექნიკური საბჭოს დასკვნა, რომლის ყველა წევრს გააჩნია ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტით განსაზღვრული ცენზი. აქედან გამომდინარე, აუდიტის მსჯელობა, რომ ხელშეკრულებებში ცვლილებები ხორციელდებოდა ნორმატიულ აქტთან შეუსაბამოდ, არ შეესაბამება სიმართლეს. ამდენად, მოცემულ მსჯელობაზე დაფუძნებული რეკომენდაცია N3 ასევე მცდარია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ აუდიტის ანგარიშის 2.11 ქვეთავი და მასზე დაყრდნობით გაცემული რეკომენდაცია N3, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი და მოხდეს აუდიტის ანგარიშიდან მისი ამოღება.

11. ქვეთავი 2.14 – მშენებლობა-რეაბილიტაციის პროცესის ნაკლოვანებები

ამ ქვეთავთან დაკავშირებით საჩივრის ავტორი არ ეთანხმება აუდიტის ანგარიშში მოცემულ აუდიტორულ მოსაზრებას და ითხოვს 2.14 ქვეთავის ბათილად ცნობას და ანგარიშიდან ამოღებას. აღნიშნული ქვეთავი ხუთი საკითხისგან შედგება, თუმცა დაზუსტებული საჩივრით, პრეტენზიას აცხადებს მხოლოდ სამ საკითხზე და განმარტავს, რომ აუდიტის ანგარიშში განვითარებული მსჯელობა შეცდომაში შემყვანია, შეუძლებელია სრულყოფილად მოკვლევის, გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერებაზე საუბარი, როდესაც უგულებელყოფილია გარანტიებთან, ჯარიმებთან, სასარჩელო მოთხოვნებთან დაკავშირებული საკითხები და მიმდინარე სასამართლო დავები, დაშვებულია არითმეტიკული შეცდომები, ხოლო რიგ საკითხებთან მიმართებით მსჯელობისას, აუდიტის ჯგუფი სცდება კომპეტენციის ფარგლებს:

ა) „ბიუჯეტიდან ზედმეტად გაწეული ხარჯების“ ნაწილში საჩივრის ავტორი მიუთითებს გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფლების: ჯანდარის, ნორიოს და გამარჯვების საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით ფონდის მიერ საქართველოს გენერალური პროკურატურისათვის მიმართვისა და გატარებული ღონისძიებების ფაქტზე, რომელსაც ასევე ადასტურებს აუდიტორთა ჯგუფი. შესაბამისად, საჩივრის ავტორს გაუგებრად მიაჩნია აუდიტორთა მხრიდან აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა. კერძოდ, ზემოაღნიშნულ სკოლებთან დაკავშირებით აუდიტის ანგარიშში მოცემულია შემდეგი: „ფონდმა სოფლების: ჯანდარის, ნორიოს და გამარჯვების სკოლების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით გამოავლინა ბიუჯეტიდან თანხების ზედმეტად ანაზღაურების ფაქტები – 1,362,877.00 ლარის ოდენობით და საქმე გადასცა სამართალდამცავ ორგანოს. გენერალური პროკურატურის გამოძიებით ფორმა N2-ებში შესრულებულად ნაჩვენები და ანაზღაურებულია რეალურთან შედარებით 2,144,830.00 ლარით მეტი თანხა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დოკუმენტაციის შემოწმებით, ფონდის მიერ ინვენტარიზაციით გამოვლენილთან შედარებით, დამატებით დადგინდა მნიშვნელოვანი შეუსაბამოები, რამაც ჯამში 707,418.00 ლარი შეადგინა.“

საჩივრის ავტორის მოსაზრებით, აუდიტორული მსჯელობა ეწინააღმდეგება როგორც ფაქტობრივ რეალობას, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნას, ასევე საქართველოს გენერალური პროკურატურის გამოძიებას. კერძოდ, აუდიტორთა მტკიცებით, მათ აღმოაჩინეს შეუსაბამოა ფონდის მიერ დათვლილ ზედმეტად ანაზღაურებულ თანხასთან, რაც 707,418.00 ლარს შეადგენს. საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ თუ ამ თანხას დაემატება ფონდის მიერ გამოვლენილი თანხა (1,362,877.00 ლარი) ჯამური თანხა იქნება 2,070,295.00 ლარი, რაც 74, 535.00 ლარით ნაკლებია საქართველოს გენერალური პროკურატურის გამოძიებით დადგენილ თანხასთან შედარებით. ფონდი მიიჩნევს, რომ აღნიშნულით აუდიტორები ეჭვქვეშ აყენებენ, როგორც ფონდის მიერ აბსოლუტურად ზუსტ გაანგარიშებას, ასევე საქართველოს გენერალური პროკურატურის გამოძიებასა და სასამართლო გადაწყვეტილებას, ვინაიდან აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით უკვე გამოტანილია გადაწყვეტილება და ზოგიერთ მსჯავრდებულს ამინისტიაც კი შეეხო;

ბ) „შეწყვეტილი კონტრაქტების ფარგლებში ხელშეკრულებულ სამუშაოებზე ანაზღაურებული თანხების“ ნაწილში საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ქალაქ რუსთავის 25-ე და 26-ე სკოლებთან დაკავშირებით აუდიტის ჯგუფს მრავალჯერ მიეწოდა ინფორმაცია, შესაბამისი დოკუმენტაცია და განმარტებები, თუმცა მათ მიერ არ მომხდარა საქმისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლა. ამასთანავე, მიუთითებს, რომ აუდიტის ჯგუფს სრულად გააჩნდა ინფორმაცია გარანტიებით და ჯარიმით (680,906.00 ლარი) და სასამართლო სარჩელებით (3,293,075.48 ლარი) მოთხოვნილ თანხებთან დაკავშირებით, რაც ჯამში, რუსთავის 25-ე და 26-ე სკოლებზე 3,630,887.48 ლარს შეადგენს, თუმცა აუდიტის ანგარიშში არ ასახულა. ხელშეკრულების

შეწყვეტის შემდგომ, ახალი ტენდერის ღირებულების თანხა განხილულია როგორც გაძვირება და არ ფიქსირდება შეწყვეტის შედეგად მოთხოვნილ თანხებთან შედარება; ასევე არ ასახულია მიწოდებული ინფორმაცია რუსთავის 25-ე და 26-ე სკოლებში ელსადენების ქურდობის ფაქტისა და სტიქიური მოვლენის გამო, ახალი კონტრაქტით ისეთი სამუშაოების თავიდან განხორციელების საჭიროება, როგორებიცაა, სამღებრო-სამალიარო, კაბელირება და მსგავსი ტიპის სამუშაოები.

საჩივრის ავტორი დამატებით უთითებს აუდიტის ანგარიშში არითმეტიკულ გამოთვლებში დაშვებულ უხეშ შეცდომებზე, რის საილუსტრაციოდ საჩივარში წარმოადგინა აუდიტის ანგარიშში მოცემული ცხრილები (დანართები: N7, N8 და N9);

გ) საჩივრის ავტორი სკოლების ბრტყელ გადახურვასთან დაკავშირებით მსჯელობისას მიუთითებს აუდიტის ჯგუფის არაკომპეტენტურობაზე და აღნიშნავს, რომ თითოეული პროექტი ინდივიდუალურად განსაზღვრავს გადახურვის საჭიროებას, აუდიტის ჯგუფის მსჯელობა კი ზოგად სტანდარტზეა აგებული და ერთის განხორციელებით სხვა პროექტებზე მსჯელობა, ყოვლად გაუმართლებელია. ფონდის განმარტებით, აღნიშნულ საკითხებზე გადაწყვეტილებას არაერთი აკრედიტებული და ამ დარგში სპეციალიზებული პირი იღებს. აღსანიშნავია, რომ ოთხი ფენა ჰიდროიზოლაციის მოწყობის საჭიროებას დაეთანხმა საპროექტო ორგანიზაცია, რის შედეგადაც ფონდის ტექნიკურმა საბჭომ შეითანხმა აღნიშნული ცვლილება.

აუდიტის ჯგუფის მიერ გამოთქმულ მოსაზრებაზე: „აუდიტის ჯგუფი ვერ დარწმუნდა ოთხი ფენის გამოყენების საჭიროებაში“, საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ აღნიშნულით აუდიტის ჯგუფი გასცდა ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ფარგლებს და იგი წარმოადგენს შესაბამისი სპეციალისტების შეფასების საგანს. შესაბამისად, ნებისმიერი მსგავსი მსჯელობა თუ დასკვნა, მაგალითად: „რუსთავის N25 სკოლის ბრტყელი გადახურვის სამუშაოებისთვის ფონდმა 189,055 ლარი არაეკონომიურად გაწია“, ვერ იქნება „პროფესიულ მსჯელობაზე“ დაყრდნობით გაკეთებული, რაც აუდიტის ანგარიშის მიხედვით აუდიტის პირდაპირ პასუხისმგებლობას წარმოადგენს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ აუდიტის ანგარიშის 2.14 ქვეთავი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი და მოხდეს აუდიტის ანგარიშიდან მისი ამოღება.

12. ქვეთავი 2.15 – პროგრამის ბიუჯეტის დაგეგმვის, შესრულების და ანგარიშგების ნაკლოვანებები

ამ ქვეთავთან დაკავშირებით საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ აუდიტის ანგარიშში გამოყენებული კრიტერიუმი და შეფასება არ შეესაბამება ქვეყანაში მოქმედ სტანდარტს და აუდიტორული მსჯელობა აგებულია სხვა უწყებების ქმედებებზე. ფონდს ბრალს დებენ ისეთი ქმედებებისთვის (მაგალითად, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის მომზადება და დამტკიცება, პროგრამის დასაფინანსებლად წლიური ბიუჯეტებით გათვალისწინებული ასიგნებების დასაბუთება და ა.შ.), რომლებიც აუდიტის ჯგუფის მტკიცებით, სხვა ორგანომ განახორციელა. ასეთი გაუმართლებელი მსჯელობიდან გამომდინარე მიაჩნია, რომ აუდიტის ჯგუფის შეფასება ეფუძნება მცდარ დასკვნებს. აქვე საჩივრის ავტორი განმარტავს, მიუხედავად იმისა, რომ ფონდი სადავო საკითხთან მიმართებით წარმოადგენს არასათანადო მოპასუხეს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, განმარტავს:

აუდიტის ანგარიშის მიხედვით 2020 წლისთვის დაგეგმილი იყო 65 საჯარო სკოლის აშენება და 87 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია, რაც არ შეესაბამება ფონდის მიერ წარდგენილ 2020 წლის ბიუჯეტის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტს. კერძოდ, აღნიშნული დოკუმენტით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მითითებული რაოდენობები წარმოადგენს არა 2020 წლის მიზნობრივ მაჩვენებელს, არამედ - პროგრამის შუალედურ შედეგებს. ფონდის მიერ 2020 წლისთვის წარდგენილი ბიუჯეტის ძირითადი მონაცემებისა და

მიმართულებების დოკუმენტში პროგრამის 2020 წლის მიზნობრივი მაჩვენებელი რაოდენობრივად არ არის განსაზღვრული. შესაბამისად, 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების ფაქტობრივი რაოდენობების პროგრამის მთლიან შუალედურ შედეგებთან შედარება მართებული არ არის.

ბიუჯეტის 2021 წლის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროგრამის 2021 წლის მიზნობრივი მაჩვენებელი ითვალისწინებდა 40 საჯარო სკოლის აშენებას და 1 საჯარო სკოლის რეაბილიტაციას. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით ფაქტობრივად აშენდა 36 საჯარო სკოლა, რაც ბიუჯეტის 2021 წლის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით გათვალისწინებული ცდომილების (10%) ფარგლებშია და ბიუჯეტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით გადახრად არ მიიჩნევა. ამასთან, დაგეგმილი 1 საჯარო სკოლის რეაბილიტაციის ნაცვლად დასრულდა 28 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია. ასევე, მიმდინარეობდა 18 საჯარო სკოლის პროექტირება-მშენებლობა და 50 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რაც დაგეგმილ მიზნობრივ მაჩვენებლებს მნიშვნელოვნად აღემატება. საჩივრის ავტორის მოსაზრებით, მიუხედავად აღნიშნულისა, აუდიტის ანგარიშში წარმოდგენილია საწინააღმდეგო მსჯელობა, თითქოს 2021 წლის ბიუჯეტის მიზნობრივი მაჩვენებლები არ არის შესრულებული, რაც აცდენილია ფაქტობრივ რეალობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ აუდიტის ანგარიშის 2.15 ქვეთავი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი და მოხდეს აუდიტის ანგარიშიდან მისი ამოღება.

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტის მოსაზრება საჩივარზე:

1. ქვეთავი 2.1 – პროექტირება-მშენებლობის სამუშაოების სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის ნაკლოვანება

აუდიტის დეპარტამენტი არ ეთანხმება საჩივრის ავტორის მოთხოვნას 2.1 ქვეთავის ბათილად ცნობის თაობაზე, კერძოდ:

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ 2005 წლის 18 მაისის N1388 საქართველოს კანონის მე-9 მუხლის (შესყიდვების დაგეგმვა) და მე-6 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, „შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს: პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენისა და შემსყიდველი ორგანიზაციისათვის მისაღები ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნით ბაზრის გამოკვლევის შედეგები“. აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული საკანონმდებლო მოთხოვნა კანონის პირველად რედაქციაშია წარმოდგენილი და მას შემდეგ ცვლილება არ შესულა. შესაბამისად, აუდიტის მთელი პერიოდის განმავლობაში იყო მოქმედი. აქედან გამომდინარე, გაუგებარია ფონდის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს კანონმდებლობა 2019-2020 წლებში არ ითვალისწინებდა ბაზრის გამოკვლევის შედეგების გათვალისწინებას შესყიდვების პროცესში. რაც შეეხება საჩივრის ავტორის მიერ დასახელებულ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებებს, მათი განხილვა ამ შემთხვევაში არარელევანტურია, რადგან ბრძანებების საფუძველია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი და მათი შინაარსი არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კანონის მოთხოვნას.

რაც შეეხება აუდიტის ჯგუფის მიერ მითითებულ მეორე კრიტერიუმს: „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციები ელექტრონული ტენდერის ჩატარებისას ბაზრის კვლევის განხორციელებასთან დაკავშირებით“, აღნიშნული კრიტერიუმი არ უნდა იქნეს განხილული განყენებულად, არამედ, როგორც პირველი კრიტერიუმის შემავსებელი. ზემოაღნიშნულ რეკომენდაციებში ვრცლადაა გადმოცემული კანონმდებლობის მოთხოვნის შინაარსი ბაზრის კვლევის განხორციელებასთან დაკავშირებით. რეკომენდაციის მიზანს წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის ინფორმირება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა წარიმართოს ბაზრის კვლევა სრულყოფილად.

შესყიდვების სააგენტოს სარეკომენდაციო დოკუმენტის გარეშე, ე.წ. სადი აზრის გათვალისწინებით, ნათელია, რომ ბაზრის კვლევა უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ შესყიდვის სავარაუდო ფასის არამედ, პოტენციურ მომწოდებელთა ვინაობის და მათი შესაძლებლობების, შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მახასიათებლების, მიწოდების ვადების, ბაზარზე არსებული ვითარების და სხვა მნიშვნელოვანი პირობების დადგენას. ამასთანავე, ბაზრის კვლევა, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, გულისხმობს არა ერთი, არამედ ერთზე მეტი პოტენციური მომწოდებლის მონაცემების მოპოვებას და ანალიზს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შესყიდვის ობიექტის პოტენციურ მიმწოდებელს გააჩნია მიწოდების ექსკლუზიური უფლება. მხოლოდ სავარაუდო ფასის დადგენის მცდელობა და ისიც არა ორი პოტენციური მომწოდებლის მიერ ინტერნეტსივრცეში განთავსებული მონაცემების, არამედ სხვა შემსყიდველის (სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო) მიერ მომზადებული – თითოეულ შესყიდვაზე ერთი სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გაანალიზება, ვერ ჩაითვლება ბაზრის სათანადო კვლევად.

ამასთანავე უდავოა, რომ შესყიდვის დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბაზრის კვლევის უახლესი მონაცემების გამოყენება შემსყიდველისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე საბაზრო პირობების შესაძლო ცვლილებების გამორიცხვის მიზნით, ფონდი კი, საჩივარში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2019 წელს განსახორციელებელი შესყიდვისთვის იყენებს 2016, 2017 და 2018 წლების მონაცემებს, რაც იმ დროისთვის მოძველებული ინფორმაცია იყო და მხოლოდ ე.წ. გაძვირების კოეფიციენტის მიყენება არ არის რელევანტური.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ფონდის სატენდერო კომისიის საოქმო გადაწყვეტილებებში ბაზრის კვლევის ერთ-ერთი კომპონენტის, სავარაუდო ფასის განსაზღვრისთვის განხორციელებული ქმედებების დოკუმენტირების დაბალი სტანდარტია გამოყენებული. შეუძლებელია სატენდერო კომისიის ოქმებში დეტალურად იქნეს ამოკითხული სავარაუდო ფასის გაანგარიშებები.

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ფონდი საჩივარში აღნიშნავს, რომ რეკომენდაცია ბაზრის კვლევის მეთოდებთან დაკავშირებით გამოთქმული იყო საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის 2022 წლის ანგარიშშიც, რაც ამყარებს მოსაზრებას, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიგნება ბაზრის კვლევის საკითხთან დაკავშირებით არის რელევანტური.

2. ქვეთავი 2.2 – წინასწარ ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

აუდიტის დეპარტამენტი არ ეთანხმება საჩივრის ავტორის მოთხოვნას 2.2 ქვეთავის ბათილად ცნობის თაობაზე, კერძოდ:

ფონდი საჩივარში არასამართლიანად აღნიშნავს, თითქოს კრიტერიუმსა და ფაქტობრივ გარემოებაში დაფიქსირებული ჩანაწერი კონტრაქტორის მიერ მიწოდებული სამუშაოდან ავანსის დაქვითვის პრაქტიკასთან დაკავშირებით, ხარვეზიანად არის მიჩნეული. აუდიტის ჯგუფი არ მიიჩნევს, რომ ზოგადად, შესრულებული სამუშაოს წარმოდგენის შემდეგ გადასახდელი თანხიდან ავანსების ნაწილის დაკავების პრაქტიკა არამართებულია. მსგავსი მოსაზრება აუდიტის ანგარიშიდან არ იკითხება. შესაბამისად გაუგებარია, რატომ მიიჩნია ფონდმა მათი პრაქტიკა, რომელიც კრიტერიუმად არის მოყვანილი, შეცდომაში შემყვანად.

რაც შეეხება, კონტრაქტორისთვის არგუმენტირებული მოთხოვნის საფუძველზე ავანსის გაცემის საკითხს, ფონდი არგუმენტირებულ მოთხოვნად მიიჩნევს მხოლოდ კონტრაქტორის მიერ ავანსის მოთხოვნის წერილში დაფიქსირებულ პროცენტულ მაჩვენებელს. საჩივრის ავტორის მოსაზრებით, თუ კონტრაქტორი მოითხოვს, რომ მისთვის ავანსის სახით გადახდილი უნდა იყოს სახელშეკრულებო ღირებულების 30%, ფონდი ამგვარ მოთხოვნას მიიღებს როგორც არგუმენტირებულ დასაბუთებას და საავანსო თანხას უპირობოდ გადაიხდის. ფონდის მიერ აღიარებული ე.წ. არგუმენტირებული დასაბუთების მსგავსი პრაქტიკა არის დაბალი სტანდარტის.

აუდიტის ჯგუფს მიაჩნია, რომ მხოლოდ პროცენტული მაჩვენებელი ვერ იქნება არგუმენტირებული მოთხოვნა. ფონდი საკუთარ მოსაზრებას „ამყარებს“ FIDIC-ის წესებით და მიუთითებს, რომ საავანსო გადახდის ერთ-ერთი დანიშნულება სამობილიზაციო სამუშაოები და მასალების შესყიდვაა, თუმცა სხვადასხვა კონტრაქტორს, სხვადასხვა ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების მობილიზაციისთვის, მასალების შესაძენად და სხვა წინამოსამზადებელი სამუშაოების განსახორციელებლად არ შეიძლება ერთი და იმავე მოცულობის თანხები ესაჭიროებოდეს. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფის მიერ ფონდის ხელშეკრულებითვე მოთხოვნილი არგუმენტირებული დასაბუთების ვალდებულება სწორ პრაქტიკად არის მიჩნეული, თუმცა მისი განხორციელება საჩივრის ავტორის მიერ დასაბუთების დაბალი სტანდარტით ხორციელდება. აქედან გამომდინარე, აუდიტის ჯგუფი არ იზიარებს საჩივრის ავტორის პოზიციას და მიაჩნია, რომ აუდიტის ანგარიშში შესაბამისი ქვეთავი უნდა დარჩეს უცვლელად.

3. ქვეთავი 2.3 – რეაბილიტაციის პროექტების ნაკლოვანებები

აუდიტის დეპარტამენტი არ ეთანხმება საჩივრის ავტორის მოთხოვნას 2.3 ქვეთავის ბათილად ცნობის თაობაზე, კერძოდ:

აუდიტის ჯგუფი აღნიშნავს, რომ სატენდერო დოკუმენტაცია არ ითვალისწინებდა მოთხოვნას პრეტენდენტის ფინანსური შესაძლებლობების შესახებ, რითაც დადგინდებოდა პრეტენდენტების მიმდინარე და მოსალოდნელი ვალდებულებები, მაშინ როდესაც მსგავსი პრაქტიკა ფონდის მიერ გამოიყენებოდა სარეაბილიტაციო ტენდერების შემთხვევაში. ფონდი იყენებდა ფორმულას, რისი მეშვეობითაც აფასებდა, რამდენად შეეძლო პოტენციურ კონტრაქტორს ერთდროულად, ერთი ან ერთზე მეტი პროექტის განხორციელება, რაც აუდიტის ჯგუფის შეფასებით, კარგი პრაქტიკაა. 2019 წლის ივნისიდან იმავე წლის სექტემბრის ჩათვლით პერიოდში, ზემოაღნიშნულ კომპანიასთან გაფორმდა 10 ხელშეკრულება, 83 სკოლის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებით, თუმცა აღსანიშნავია, რომ კონტრაქტორს, ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვადების მიხედვით, რამდენიმე კვირის განმავლობაში უწევდა ერთდროულად 83 სკოლის სარეაბილიტაციო პროექტზე მუშაობა. აუდიტის ჯგუფს მიაჩნია, რომ ერთი ან ერთზე მეტი პროექტის შესრულების შესაძლებლობის განხილვა ამ შემთხვევაშიც იქნებოდა რელევანტური, მითუმეტეს იმ შემთხვევაში, როდესაც აუდიტის შედეგად გამოვლინდა მნიშვნელოვანი შეუსაბამოები სკოლებში არსებულ ფაქტობრივ მდგომარეობას და კონტრაქტორის მიერ მომზადებულ პროექტებს შორის. მაგალითად, ერთ შემთხვევაში დოკუმენტაციაში გათვალისწინებული იყო სპორტული მოედნის მშენებლობა, მაშინ როდესაც სკოლის ტერიტორიაზე არსებობდა ახლად აშენებული სპორტული მოედანი, პროექტი ითვალისწინებდა ცენტრალური გათბობის ახალი საქვების მშენებლობას, მაშინ როდესაც სკოლის ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა ახლად აშენებული ცენტრალური გათბობის საქვაბე და ა.შ. პროექტების მნიშვნელოვანმა ხარვეზებმა გამოიწვია ხელშეკრულებების ხშირი ცვლილებები, რაც, თავის მხრივ, სამუშაოების დროულ დასრულებას ხელს უშლიდა. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფს მიაჩნია, რომ არ არსებობს გასაჩივრებული ქვეთავის ბათილობის საფუძველი.

4. ქვეთავი 2.4 – ხელშეკრულებებში კონტროლის მექანიზმების ნაკლოვანებები

აუდიტის დეპარტამენტი არ ეთანხმება საჩივრის ავტორის მოთხოვნას 2.4 ქვეთავის ბათილად ცნობის თაობაზე, კერძოდ:

აუდიტის ჯგუფი აღნიშნავს, რომ სამშენებლო ობიექტის რეაბილიტაციის პროცესში შესაძლოა მოხდეს ისეთი მასალების დემონტაჟი, რომელთაც გააჩნიათ მატერიალური ფასეულობა/ღირებულება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ფონდმა კონტრაქტორებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში გაითვალისწინოს მათი აღრიცხვის, მოვლის და ბენეფიციარისთვის (ამ შემთხვევაში მუნიციპალიტეტებისთვის) გადაცემის კონტროლის

მექანიზმი/ვალდებულება. აუდიტის ჯგუფს მიაჩნია, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაცია N1 სამომავლოდ ხელს შეუწყობს ბენეფიციარების/სახელმწიფო ორგანიზაციების აქტივების დაცვას.

რაც შეეხება კონტროლის მექანიზმების სისუსტის საკითხს, კონტრაქტორების მიერ შესრულებული სამუშაოების მიღების დადასტურებასთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ ფონდის მშენებლობის ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლები ხელშეკრულების შეწყვეტის ან კონტრაქტის დასრულების თარიღისთვის ამოწმებენ კონტრაქტორის მიერ წარმოდგენილ სამუშაოთა შესრულების მდგომარეობას, აუდიტის ჯგუფს მიაჩნია, რომ სასურველია ფონდის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა/მენეჯმენტმა იმსჯელონ ისეთი კონტროლის მექანიზმის დანერგვის შესაძლებლობის თაობაზე, რაც სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებშიც აპრობირებულია, კერძოდ, შესრულებული სამუშაოების დადასტურება შესაბამისი აკრედიტაციის მქონე პირის მიერ. ხაზგასასმელია გარემოება, რომ რეკომენდაცია მოიცავს შეთავაზებას მენეჯმენტისთვის იმის თაობაზე, რომ მოხდეს საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება. რეკომენდაცია შესრულებულად ჩაითვლება, თუ ფონდის მიერ განხილული იქნება ზემოხსენებული მექანიზმის დანერგვა და მიღებული იქნება დადებითი ან უარყოფითი გადაწყვეტილება, რომელიც დასაბუთებული და დოკუმენტირებული იქნება არგუმენტირებული მსჯელობის საფუძველზე. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფს მიაჩნია, რომ ორივე საკითხი და ორივე რეკომენდაცია უნდა დარჩეს უცვლელად.

5. ქვეთავი 2.5 – ხელშეკრულების პირობების შესრულების ნაკლოვანება

აუდიტის დეპარტამენტი არ ეთანხმება საჩივრის ავტორის მოთხოვნას 2.5 ქვეთავის ბათილად ცნობის თაობაზე, კერძოდ:

ფონდი საჩივარში არაფერს ამბობს აუდიტის ანგარიშში მითითებულ კრიტერიუმზე, რომელიც ფონდის მიერ კონტრაქტორებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში სწორედ მის მიერ არის გათვალისწინებული. ხელშეკრულებების პირობების თანახმად, ხელშეკრულებების მიმდინარეობის კონტროლის მიზანი მიმწოდებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემოწმება და ძირითადი სპეციალისტების კომპეტენციის შესაბამისობის დადგენაა, განსახორციელებელ სამუშაოებთან მიმართებით. აღნიშნულმა კონტროლის მექანიზმმა უნდა გამორიცხოს კონტრაქტორების მიერ არაკომპეტენტურად შესრულებული სამუშაოები, რაც რიგ შემთხვევაში ვერ განხორციელდა ხელშეკრულების მიმდინარეობის ადრეულ ეტაპზე. მართალია, ფონდის ხარისხის კონტროლის დეპარტამენტმა გამოავლინა არაკომპეტენტურობის შემთხვევები, თუმცა აღნიშნული განხორციელდა, პოსტფაქტუმ და არა პრევენციულად, მას შემდეგ, რაც პროექტის მიმდინარეობას პრობლემები შეექმნა. ანგარიშში მოყვანილი გარემოებები ეფუძნება იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა დადგომასაც საჩივრის ავტორი არათუ უარყოფს, არამედ ადასტურებს. მიზანშეწონილია, რომ ფონდმა თავისივე სახელშეკრულებო დანაწესს მეტი ყურადღება დაუთმოს პრევენციულად.

6. ქვეთავი 2.7 – ჯარიმების დაკისრების ნაკლოვანება

აუდიტის დეპარტამენტი ნაწილობრივ ეთანხმება საჩივრის ავტორის მოთხოვნას 2.7 ქვეთავის კორექტირების თაობაზე, კერძოდ:

აუდიტის ჯგუფი ეთანხმება საჩივრის ავტორს მხოლოდ იმ ნაწილში, რომ ფაქტობრივი გარემოების ტექსტში სიტყვა „ხუთის“ ნაცვლად, უნდა ეწეროს სიტყვა – „შვიდი“, იქიდან გამომდინარე, რომ ცხრილ N4-ში ჩამოთვლილი 7 სკოლის შემთხვევაში, ფონდს არ ჰქონდა გამოყენებული საჯარიმო სანქციები.

ფონდმა კონტრაქტორები დააჯარიმა აუდიტის მიმდინარეობის პროცესში მხოლოდ მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდა, რომ აუდიტორებმა აღმოაჩინეს დაუჯარიმებელი კონტრაქტორების შემთხვევები. აუდიტის ჯგუფმა, სამართლიანობისთვის, დასკვნის ნაწილში მიუთითა ფონდის

მიერ მართლზომიერი ქმედებების, კერძოდ, კონტრაქტორების დაჯარიმების შესახებ, რაც აუდიტის ჯგუფის მიერ გამოვლენილ გარემოებებს მოჰყვა. ამასთანავე, აუდიტის ჯგუფი მიუთითებს, რომ ფონდი მხოლოდ ხანდაზმულობის ვადებით არ უნდა ხელმძღვანელობდეს.

7. ქვეთავი 2.8 – ობიექტების დაზღვევის ნაკლოვანებები

აუდიტის დეპარტამენტი არ ეთანხმება საჩივრის ავტორის მოთხოვნას 2.8 ქვეთავის კორექტირების თაობაზე, კერძოდ:

აუდიტის ჯგუფი ეთანხმება ფონდის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ხელშეკრულების მუხლი, სადაც განსაზღვრულია კონტრაქტორის ვალდებულება სამუშაო ობიექტის დაზღვევის შესახებ, არ ავალდებულებს ფონდს ხელშეკრულების მყისიერ შეწყვეტას, თუმცა იმ შემთხვევაში, თუ ფონდისთვის არ იქნება დათქმულ ვადებში ობიექტის დაზღვევის ხელშეკრულება წარდგენილი, ფონდმა უნდა მიიღოს ზომები და მიმართოს მის ხელთ არსებულ ყველა ხერხს, რათა კონტრაქტორმა შეასრულოს მისთვის ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულება; ასევე შესაძლოა გამოყენებული იყოს წერილობითი გაფრთხილება, ავანსის გაცემის შეზღუდვა, ავანსის დაუკავებლობაზე კონტრაქტორის თხოვნის დაუკმაყოფილებლობა და ა.შ. იმ შემთხვევაში, თუ ფონდის მიერ გაწეული გონივრული ძალისხმევის შედეგად კონტრაქტორის მიერ ხელშეკრულების მოთხოვნა კვლავ შეუსრულებელი დარჩებოდა, მაშინ ფონდი ვალდებული იქნებოდა შეეწყვიტა ხელშეკრულება, რადგან სამშენებლო ობიექტის დაზღვევა მნიშვნელოვან მოთხოვნას წარმოადგენს, მითუმეტეს, რომ ხელშეკრულების ზემოაღნიშნული მუხლით კონტრაქტორი ვალდებული იყო და არა უფლებამოსილი, რომ ობიექტი დაეზღვია სათანადო წესით. აქედან გამომდინარე, აუდიტის ჯგუფი მიიჩნევს, რომ არ არსებობს აუდიტის ანგარიშში მოცემული მიგნების კორექტირების საფუძვლები და ის ანგარიშში უნდა დარჩეს უცვლელად.

8. ქვეთავი 2.9 – საბანკო გარანტიების წარმოდგენისას არსებული ხარვეზები

აუდიტის დეპარტამენტი ნაწილობრივ ეთანხმება საჩივრის ავტორის მოთხოვნას 2.9 ქვეთავის ბათილად ცნობის ან კორექტირების თაობაზე, კერძოდ:

აუდიტის ჯგუფი მიუთითებს, რომ ფონდს საჩივარში მოყვანილი აქვს აუდიტის ანგარიშის ჩანაწერთან დაკავშირებით არასწორი ფაქტობრივი გარემოება, ვინაიდან გასაჩივრებული ქვეთავის მთავარ ტექსტსა და შესაბამის დანართში თანხობრივი სიდიდეები საერთოდ არ არის მოცემული. შესაბამისად გაუგებარია, ფონდი რომელი ავანსის სრული თანხის ჩანაწერზე საუბრობს. საბანკო გარანტიების წარმოდგენისას არსებული ხარვეზების მთავარი შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ ხელშეკრულების ვადის გაგრძელების დროს, ხშირ შემთხვევაში კონტრაქტორებს არ წარმოუდგენიათ გახანგრძლივებული ავანსის და ხელშეკრულების შესრულების გარანტიები და ფონდს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არ ჰქონდა განხორციელებული არანაირი ქმედება ხელშეკრულების ამ მუხლების შესრულების უზრუნველსაყოფად. აღნიშნული ფონდის მართვის სერიოზულ ხარვეზებზე მიუთითებს. აუდიტის ჯგუფი ბუნებრივია ეთანხმება ფონდის მოსაზრებას და ანგარიშის შედგენის მდგომარეობითაც იზიარებდა იმ პოზიციას, რომ მნიშვნელოვანია: რა პერიოდის განმავლობაში იდგა კონტრაქტორების მიერ განახლებული გარანტიების წარმოუდგენლობით ფინანსური ზიანის მიღების რისკი, თუმცა ის გარემოება, რომ ხარვეზების არსებობის მიუხედავად, ფონდს არ მიუღია ფინანსური ზიანი, არ შეიძლება ჩაითვალოს ფონდის ხელმძღვანელობის მართვის სისუსტის გამამართლებელ ფაქტორად. შესაბამისად, იქიდან გამომდინარე, რომ არ დაიკარგოს მიგნების ძირითადი შინაარსი და სადავო არ გახდეს უმნიშვნელო გარემოება, ხარვეზიანი დღეების დათვლასთან დაკავშირებით, აუდიტის ჯგუფს შესაძლებლად მიაჩნია შესაბამისი ქვეთავის დანართი N2-1-ის კორექტირება.

9. ქვეთავი 2.10 – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და შესრულებული სამუშაოს ანგარიშების ნაკლოვანებები

აუდიტის დეპარტამენტი არ ეთანხმება საჩივრის ავტორის მოთხოვნას 2.10 ქვეთავის ბათილად ცნობის თაობაზე, კერძოდ:

სკოლების მშენებლობასთან დაკავშირებულ სატენდერო დოკუმენტაციაში ფონდი ერთმნიშვნელოვნად აფიქსირებს, რომ მიმწოდებელი ვალდებულია დამკვეთს წარუდგინოს ჩასატარებელი სამუშაოების დეტალური სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. აღნიშნულ დოკუმენტაციაში „დეტალური სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის“ რაიმე განმარტება არ არის მოცემული, შესაბამისად, ფონდის მიერ საჩივარში წარმოდგენილი განმარტება, რომ მიმწოდებელს გააჩნდა დისკრეციული უფლებამოსილება – გადაეწყვიტა ხარჯთაღრიცხვის დეტალიზაციის დონე, არ დასტურდება საკითხთან დაკავშირებული არცერთი დოკუმენტით. ფონდის მიერ სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული მოთხოვნა დეტალური სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვალდებულებასთან დაკავშირებით, არის ლოგიკური და კარგი პრაქტიკა იმისათვის, რომ შესრულებული სამუშაოების კონტროლი, სამუშაოების მიღება და ანაზღაურება იყოს მარტივად შესაძლებელი და ნაკლები რისკების შემცველი. აუდიტის ჯგუფმა გააანალიზა შერჩეული 33 სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და ის ხარჯთაღრიცხვები, სადაც არ იყო ხარჯების დეტალურად ჩაშლილი შესასრულებელი სამუშაოების, მათი რაოდენობრივი მაჩვენებლების და ერთეულის ფასების დონეზე – მიიჩნია არადეტალურად. აღსანიშნავია, რომ ხარჯთაღრიცხვის დეტალიზაციის მოთხოვნა შერჩეული 33 კონტრაქტიდან დაცული არ იყო 11 შემთხვევაში, რაც აუდიტის ჯგუფმა ასახა აუდიტის ანგარიშში. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფს მიაჩნია, რომ ფონდის საჩივარი არის უსაფუძვლო დაუსაბუთებელი და ანგარიშში უნდა დარჩეს უცვლელად.

გასაჩივრებული ქვეთავის მეორე საკითხი ეხება ფორმა N2-ებში კონტრაქტორების მიერ წარმოსადგენ მოცულობების საკითხს. აუდიტის ჯგუფი აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევაშიც კონტრაქტორებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში ერთმნიშვნელოვნად არის დაფიქსირებული მიმწოდებლის ვალდებულება, შემსყიდველს წარუდგინოს მიწოდებული სამუშაოების მოცულობები, რაც ზოგიერთ შემთხვევაში არ იყო შესრულებული. შესაბამისად გაუგებარია, რატომ დააყენა ფონდმა კითხვის ნიშნის ქვეშ მის მიერ კონტრაქტორებისთვის განსაზღვრული სახელშეკრულებო მოთხოვნა. აუდიტის ჯგუფს მიაჩნია, გასაჩივრებული საკითხი აუდიტის ანგარიშში უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან ფონდის საჩივარი არის უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი.

10. ქვეთავი 2.11 – რეაბილიტაციის პროექტების კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზის ხარვეზები

აუდიტის დეპარტამენტი არ ეთანხმება საჩივრის ავტორის მოთხოვნას 2.11 ქვეთავის ბათილად ცნობის თაობაზე, კერძოდ:

აუდიტის ჯგუფი აღნიშნავს, რომ ფონდის მიერ საჩივარში წარმოდგენილი ინფორმაცია არაზუსტია. ფონდი აფიქსირებს მოსაზრებას, რომ თითქოს აუდიტის ჯგუფს დაფიქსირებული აქვს კანონმდებლობასთან შეუსაბამობის ფაქტი, მაშინ როდესაც კანონმდებლობასთან შეუსაბამობის ნაცვლად, აუდიტის მიგნება მიზანშეწონილობის კონტექსტით არის წარდგენილი. ფონდის პრაქტიკის მიხედვით, უმეტეს შემთხვევაში, სკოლების რეაბილიტაციის საპროექტო მომსახურებასთან დაკავშირებული ტენდერების პირობების თანახმად, კონსტრუქციული დასკვნები შედგენილი უნდა ყოფილიყო აკრედიტებული სპეციალისტის (ექსპერტის) მიერ, ხოლო რეაბილიტაციასთან დაკავშირებული შესაბამისი ხელშეკრულებები, უკვე აღარ ითვალისწინებდა პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ცვლილებების აკრედიტებული სპეციალისტის მიერ დამოწმებას. ფონდს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 მაისის N256 დადგენილება „სანებართვო დოკუმენტაციის საექსპერტო შეფასებისა და ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების დროებითი წესის შესახებ“ ნებას რთავდა კონსტრუქციული ცვლილებები შეეტანა საპროექტო დოკუმენტაციაში, აკრედიტებული სპეციალისტის დასკვნის გარეშე, მხოლოდ საკუთარი თანამშრომლების ცენზის გამოყენებით, რაც მთავრობის განკარგულებით დადგინდა. მიუხედავად ამისა, აუდიტის ჯგუფმა მიზანშეწონილად მიიჩნია

ისეთი მნიშვნელობის საზოგადოებრივი ობიექტებისთვის, როგორიცაა, საჯარო სკოლა და ისეთი რისკის შემცველი ცვლილებებისთვის, როგორიც მნიშვნელოვანი კონსტრუქციული ცვლილებებია (ავარიული კედლების გამაგრება, კედლის საძირკვლის გამაგრება, ავარიული ბაქნის დემონტაჟი და ახლის მშენებლობა, შენობის გამაგრების ფოლადის ზოლოვანი სარტყლის მოწყობის ტექნოლოგიის ცვლილება და ა.შ.), ფონდს გამოეყენებინა აკრედიტებული სპეციალისტების დასკვნები, მითუმეტეს, რომ მთავრობის N256 დადგენილებას დროებითი ხასიათი აქვს.

აღნიშნული მთავრობის დადგენილებით პირს მიენიჭა უფლებამოსილება, რომ II-III კლასის შენობა-ნაგებობების კონსტრუქციული სქემის/პროექტის შესახებ გააკეთოს საექსპერტო შეფასება, თუ ფლობს შესაბამისი სპეციალობის მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხს და გააჩნია სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5-7 წლის სტაჟი, შესაბამისად, II და III კლასის შენობა-ნაგებობების შემთხვევაში. ამავე დროს, ბუნებრივია, აკრედიტებული პირის მიერ შესრულებული სამუშაო უფრო მაღალი სანდოობით გამოირჩევა. იმდენად, რამდენადაც აკრედიტაცია არის ოფიციალური შეფასება/ატესტაცია, რომლის საფუძველზეც აკრედიტაციის ორგანო ადასტურებს, რომ შესაბამისობის შემფასებელი ორგანო შეესაბამება შესაბამისი აკრედიტაციის სქემით დადგენილ მოთხოვნებს და შეუძლია შესაბამისობის შეფასების ღონისძიებების განხორციელება, მინიჭებული აკრედიტაციის სფეროს შესაბამისად. აკრედიტაციის მისაღებად აკრედიტაციის ორგანო იკვლევს არა მხოლოდ აკრედიტაციის მაძიებლის აკადემიურ ხარისხს და სამუშაო გამოცდილებას, არამედ სხვა მნიშვნელოვან დაკავშირებულ ხარისხობრივ საკითხებს. აღსანიშნავია, რომ მთავრობის N256 დადგენილება არ არის შემზღუდავი ხასიათის და ფონდს საშუალებას აძლევდა, შედარებით დაბალი სტანდარტით მოეხდინა კონსტრუქციული ცვლილებების განხორციელების საექსპერტო დადასტურება. მიუხედავად იმისა, რომ ფონდს ჰქონდა დისკრეციული უფლებამოსილება, მიეღო გადაწყვეტილება მთავრობის დადგენილების საფუძველზე, მიზანშეწონილი იყო, ფონდს გამოეყენებინა მისივე პრაქტიკით პროექტის მომზადების დროს გამოყენებული სტანდარტი პროექტის კონსტრუქციულ ნაწილებთან მიმართებით, მითუმეტეს მაშინ, როდესაც მისი გადაწყვეტილება დაბალი სტანდარტის გამოყენების შესახებ დასაბუთებული არ არის, ხოლო მთავრობის N256 დადგენილება დროებითი ხასიათის მატარებელია. აქედან გამომდინარე, აუდიტის ჯგუფს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული ქვეთავის ბათილობის საფუძველი არ არსებობს და ანგარიშში უნდა დარჩეს უცვლელად.

11. ქვეთავი 2.14 – მშენებლობა-რეაბილიტაციის პროცესის ნაკლოვანებები

აუდიტის დეპარტამენტი არ ეთანხმება საჩივრის ავტორის მოთხოვნას 2.14 ქვეთავის ბათილად ცნობის თაობაზე, კერძოდ:

ა) ხელშეკრულებების შესრულებლობის და შეწყვეტის მიზეზების შესწავლის პროცესში გამოიკვეთა გარემოება, რომ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული გარკვეული მოთხოვნები არ იყო შესრულებული და ხელშეკრულებების შეწყვეტის მიუხედავად, მიმწოდებლებზე არ იყო დაკისრებული შესაბამისი საჯარიმო სანქციები. ხელშეკრულებების შეწყვეტის თარიღისათვის არ იყო განხორციელებული სათანადო ღონისძიებები (ინვენტარიზაცია და სამუშაოთა ზედამხედველის მიერ შესადგენი საბოლოო ანგარიშსწორების დოკუმენტი). ამასთანავე, ხელშეკრულებების შეწყვეტის თარიღამდე რამდენიმე თვით ადრე ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგები არ იყო სრული და შეიცავდა მრავალ უზუსტობას; ასევე ხარჯთაღრიცხვები მოიცავდა მნიშვნელოვან უზუსტობებს, რაც გამოიხატებოდა შესასრულებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების გაუთვალისწინებლობასა და ზოგიერთ შემთხვევაში, შესასრულებელი სამუშაოების ზედმეტი მოცულობებით განსაზღვრაში; რიგ შემთხვევებში კი, ხარჯთაღრიცხვებში ცვლილებები განხორციელდა მრავალთვიანი გაჭიანურების შემდეგ. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში ფონდის მიერ გადაგზავნილი შუსრულებელი სამუშაოების მოცულობები არ იყო სრულყოფილი, რაც დადასტურდა საბოლოო გამოძიების შედეგებით.

რაც შეეხება გამოძიების ფარგლებში სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გამოვლენილ და აუდიტის ანგარიშში მოყვანილ დამატებით გამოვლენილ მოცულობებს შორის სხვაობას – 74,535.00 ლარს, აღნიშნული გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ექსპერტიზის მიერ დადგენილი საბოლოო მონაცემი დაფუძნებულია საკონტროლო აზომვებზე, ხოლო აუდიტის ანგარიშში ასახული მონაცემი მოპოვებულია ფონდის მიერ აუდიტისთვის წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით, შესაბამისად, 74,535.00 ლარი არ შეიძლება ჩაითვალოს რაიმე სახის სხვაობად.

ბ) ქალაქ რუსთავის N25 და N26 საჯარო სკოლების რეაბილიტაციაზე ახალი კონტრაქტორების მიერ შედგენილი შესრულებული სამუშაოების ანგარიშებში, ზოგიერთ შემთხვევაში ასახული მოცულობები და მათზე ბიუჯეტიდან ანაზღაურებული თანხები ფონდის მიერ ერთხელ უკვე დადასტურებული და ანაზღაურებული იყო პირველი კონტრაქტორის მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების ანგარიშების საფუძველზე. აღნიშნული ფაქტები ცხადყოფს იმ გარემოებას, რომ პირველი კონტრაქტორის მიერ წარმოდგენილი და ფონდის მიერ დადასტურებული შესრულებული სამუშაოების ანგარიშები შეიცავდნენ მნიშვნელოვან უზუსტობებს შესრულებულად ნაჩვენები სამუშაოების მოცულობების და ხარისხის კუთხით. შედეგად, შეწყვეტილი კონტრაქტების ფარგლებში, ქალაქ რუსთავის N25 და N26 საჯარო სკოლების სამუშაოებზე ბიუჯეტიდან ხელმეორედ ანაზღაურებულია 592,722.00 ლარი. აღნიშნული მონაცემების შესწავლის დროს აუდიტის ჯგუფის მიერ გამოყენებულ იქნა ფონდის მიერ წარმოდგენილი მასალები, მათ შორის, კომისიური წესით შედგენილი საკონტროლო აზომვის აქტები და შესრულებული სამუშაოების ანგარიშები, ასევე ფონდის მონიტორინგისა და ხარისხის კონტროლის სამსახურის შემოწმების მასალები. აუდიტის ჯგუფი აღნიშნავს, რომ ფონდის მიერ მიწოდებული ინფორმაციიდან ვერ მიიღეს საკმარისი რწმუნება დაზიანების რეალური მოცულობისა და მასზე გაწეული მოცულობის სამუშაოების საჭიროების თაობაზე. აუდიტის ჯგუფი მიუთითებს, რომ ფონდის მიერ არ იქნა წარმოდგენილი ხელშეკრულების შეწყვეტის მდგომარეობით (2022 წლის 5 დეკემბერი) სამუშაოების ზედამხედველის მიერ შედგენილი შესრულებული და დარჩენილი სამუშაოების აღმსუსხველი აქტები, ასევე განხორციელებული სამუშაოების დაზიანებებზე შედგენილი დეფექტური აქტები.

გ) რუსთავის N25 საჯარო სკოლის ბრტყელ გადახურვასთან დაკავშირებით გაწეულ არაეკონომიურ ხარჯთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ გადახურვის მოწყობის სამუშაოებზე ფონდის პასუხისმგებელი პირის მიერ გაფორმებულ ფარული სამუშაოების აქტებში მითითებული თარიღი არ შეესაბამება შესრულებული სამუშაოების ანგარიშებში დაფიქსირებულ თარიღს. სახურავის ბურულის დემონტაჟის და მოწყობის სამუშაოების ცალკეულ სახეზე ფონდის მიერ წარმოდგენილი ფარული სამუშაოების აქტები არ შეიცავს სრულ ინფორმაციას შესრულებული სამუშაოების ზუსტი მოცულობების შესახებ, შესაბამის თარიღებში.

ამავე დროს, აღნიშნული ტიპის სამუშაოებზე არცერთ სხვა საჯარო სკოლაში არ არის გამოყენებული ოთხი ფენა ჰიდროსაიზოლაციო მასალა. ასევე, ოთხი ფენა ჰიდროსაიზოლაციო მასალის საჭიროების შესახებ, ფონდის მიერ აუდიტის მიმდინარეობისას დაისვა შეკითხვა პროექტის ავტორის მიმართ, თუმცა პასუხი წარმოდგენილი არ ყოფილა. აღნიშნულის გარდა, აუდიტის ჯგუფის მიერ გავლილ იქნა კონსულტაციები შესაბამის სამეცნიერო, საექსპერტო და საპროექტო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, თუმცა ოთხი ფენა ჰიდროსაიზოლაციო მასალის საჭიროების შესახებ დადებითი პასუხი მიღებული არ ყოფილა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუდიტის ჯგუფს მიაჩნია, რომ საჩივარი არის დაუსაბუთებელი და არ არსებობს გასაჩივრებული ქვეთავის ბათილად ცნობის საფუძვლები.

12. ქვეთავი 2.15 – პროგრამის ბიუჯეტის დაგეგმვის, შესრულების და ანგარიშების ნაკლოვანებები

აუდიტის დეპარტამენტი არ ეთანხმება საჩივრის ავტორის მოთხოვნას 2.15 ქვეთავის ბათილად ცნობის თაობაზე, კერძოდ:

საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის ქვეპროგრამის (პროგრამული კოდი 25 07 01) განმახორციელებელია ფონდი, რომელიც სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული ერთეულია და უშუალოდ არის პასუხისმგებელი ღონისძიების განხორციელებაზე. შესაბამისად, ფონდის აღნიშნული მოსაზრება არ ეფუძნება არავითარ სამართლებრივ საფუძველს და არ შეიძლება მისი გაზიარება შემდეგი გარემოებების გამო:

საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც მოიცავს ღონისძიებების აღწერას, დასაბუთებას, ინფორმაციას განმახორციელებლის და განხორციელების ვადების შესახებ, ასევე არსებული ან/და საჭირო დაფინანსების მოცულობას, მოსალოდნელ შედეგებს და შესრულების შეფასების ინდიკატორებს. თავის მხრივ, სამოქმედო გეგმა მოიცავს ხარჯთაღრიცხვას, რომლითაც განისაზღვრება ქვეპროგრამის ღონისძიებების განსახორციელებლად საჭირო რესურსები და შესაძლო დაფინანსების მოცულობა.

საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის მომზადებაში ჩართულნი უნდა იყვნენ უშუალოდ შემსრულებლები, ის პირები, ვინც ყველაზე ახლოს და დეტალურად იცნობენ მიმდინარე პროცესებს და ყველაზე ახლოს ხედავენ პრობლემატურ მონაკვეთებსა და გაუმჯობესების შესაძლებლობებს.

საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შედგენა ვერ იქნება ერთი სტრუქტურული ერთეულის კომპეტენცია, პროცესში მთლიანად უწყების ჩართვაა აუცილებელი და საჭირო. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ თითოეულ ღონისძიებაზე პასუხისმგებლობას უნდა იღებდეს შესაბამისი შემსრულებელი სტრუქტურული ერთეული და არა მხოლოდ იმპლემენტაციის დონეზე, არამედ თავად დაგეგმარების დონეზეც. სამინისტროების შემთხვევაში უნდა არსებობდეს სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელშიც ჩართული იქნება მინისტრის ყველა მოადგილე, ყველა დეპარტამენტის უფროსი და ყველა საქვეუწყებო, თუ სხვა ტიპის დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი. სამუშაო ჯგუფში იქმნება ქვეჯგუფები, რომლებიც მიმართულებების მიხედვით საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურთან ერთად შეიმუშავენ გეგმის მათ ნაწილს. თითოეულ ასეთ ქვეჯგუფში უნდა შედიოდეს შესაბამისი მიმართულებით წამყვანი დეპარტამენტის წარმომადგენელი, განმახორციელებელი უწყებების (სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების) წარმომადგენლები.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების ხარჯთაღრიცხვის მოსამზადებლად, თითოეულ ღონისძიებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული ამზადებს შესაბამის ინფორმაციას (ღონისძიების გატარებისათვის საჭირო ადამიანური/დროითი/მატერიალური/სხვა რესურსების გათვალისწინებით).

პროგრამის ბიუჯეტის შესრულების და ანგარიშგების ნაკლოვანებების ნაწილში დაფიქსირებულ ხარვეზებთან დაკავშირებით საჩივარში მოცემული ფონდის მოსაზრება საერთოდ არ შეესაბამება ფაქტობრივ გარემოებებს და არ შეიძლება გაზიარებული იქნეს. კერძოდ: საშუალოვადიანი გეგმები უნდა მოიცავდეს მონაცემებს მოსალოდნელი შუალედური და საბოლოო შედეგების და ღონისძიების შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ.

შესრულების შეფასების ინდიკატორების სამიზნე მაჩვენებლებში წარმოდგენილი უნდა იყოს ღონისძიების განხორციელების შედეგად საშუალოვადიან პერიოდში მისაღები კონკრეტული შედეგი და აღნიშნული შედეგი ჩაშლილი უნდა იყოს საშუალოვადიანი პერიოდის თითოეული წლისათვის, საორიენტაციოდ, შედეგის მაჩვენებელში რა პროგრესი იქნება მიღწეული.

სამიზნე მაჩვენებლები უნდა აღნიშნავდეს კონკრეტული ღონისძიების განხორციელების შედეგად მისაღებ პროდუქტს, რომელიც შესაძლოა გამოიხატოს რაოდენობრივ ან თვისობრივ მაჩვენებლებში.

ზემოთ მითითებული ნორმატიული მოთხოვნების საფუძველზე, ჩვენ მიერ აუდიტის ანგარიშის 45-ე და 46-ე გვერდებზე აღწერილი გვაქვს გარემოება, სადაც მითითებულია შემდეგი: 2020 წლის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმით მოსალოდნელ შუალედურ შედეგებში გათვალისწინებული იყო 65 სკოლის აშენება და 87 სკოლის რეაბილიტაცია, თუმცა მოსალოდნელი შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორების მიზნობრივ მაჩვენებელში რაოდენობრივი პარამეტრი საერთოდ არ არის გათვალისწინებული, რაც პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის მოთხოვნებთან შეუსაბამოა, ფონდის 2020 წლის წლიური ანგარიშის თანახმად კი, აშენდა 13 სკოლა და დასრულდა ერთი სკოლის რეაბილიტაცია.

აუდიტის ანგარიშში ფაქტის ზემოთ მითითებული ფორმულირებით აღწერის მიუხედავად, ფონდის საჩივარში მითითებულია მცდარი მოსაზრება, თითქოს, აუდიტის ანგარიშის მიხედვით, 2020 წლისთვის დაგეგმილი 65 საჯარო სკოლის აშენება და 87 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია არ შეესაბამება ფონდის მიერ წარდგენილ 2020 წლის ბიუჯეტის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტს. კერძოდ, აღნიშნული დოკუმენტით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მითითებული რაოდენობები წარმოადგენს არა 2020 წლის მიზნობრივ მაჩვენებელს, არამედ – პროგრამის შუალედურ შედეგებს.

2021 წლის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმით მიზნობრივ მაჩვენებლად განსაზღვრული იყო 24 საჯარო სკოლის მშენებლობა. ამასთანავე, აღნიშნულ გეგმაში ბიუჯეტის დამტკიცების შემდგომ განხორციელებული ცვლილებით მიზნობრივ მაჩვენებლად განისაზღვრა 40 სკოლის აშენება და ერთი სკოლის რეაბილიტაცია. აღნიშნულის მიუხედავად, ფონდმა პროგრამების შესრულების 2021 წლის ანგარიშში დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებლის პარამეტრში მიუთითა 24 საჯარო სკოლის მშენებლობა, ნაცვლად 40 საჯარო სკოლის მშენებლობისა, ხოლო მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორის მაჩვენებელში მიუთითა 36 აშენებული სკოლა, რაც მიუთითებს შემდეგზე: დაზუსტებული გეგმით განსაზღვრული მაჩვენებელი (40 სკოლა) არ შესრულებულა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ფონდის საჩივარში მითითებულია, რომ მიზნობრივი მაჩვენებელი ითვალისწინებდა 2021 წელს 40 სკოლის აშენებას და ერთი სკოლის რეაბილიტაციას, თუმცა ფონდის მიერ სამინისტროში წარდგენილ 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში და 2021 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების შესახებ ინფორმაციაში, პროგრამის შესრულების მიზნობრივ მაჩვენებლად დაფიქსირებული აქვთ აშენებული 24 საჯარო სკოლა. აღნიშნული მონაცემი არაზუსტია და პროგრამის შესრულების მაჩვენებელი – საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ საქართველოს მთავრობის ანგარიშის თანდართულ დანართში, არ შეესაბამება რეალურ მდგომარეობას.

II

სამოტივაციო ნაწილი

საჩივრის გაცნობის, მხარეთა მოსაზრებების მოსმენის, საქმეში არსებული მასალებისა და საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე სამართლებრივი გარემოებების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, პრეზიდიუმში მივიდა დასკვნამდე, რომ ფონდის 2025 წლის 19 თებერვლის საჩივარი (სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგისტრაციის ნომერი: N5781/29) ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

1. ქვეთავი 2.1 – პროექტირება-მშენებლობის სამუშაოების სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის ნაკლოვანება

საჩივრის ავტორის მოთხოვნა აუდიტის ანგარიშის 2.1 ქვეთავის ბათილად ცნობის შესახებ იმ მოტივით, რომ აღნიშნულ ქვეთავში მითითებული კრიტერიუმები არარელევანტურია და აუდიტორული შეფასება: „ფონდი ბაზრის კვლევას არ ახორციელებდა“ – მცდარია, პრეზიდიუმის მოსაზრებით უსაფუძვლოა, შემდეგ გარემოებათა გამო:

აუდიტის მასალებზე დაყრდნობით, პრეზიდენტმა აღნიშნავს, რომ აუდიტორთა მიერ აუდირებულ პერიოდში (2019-2022 წლები) შერჩევის მეთოდით შესწავლილ იქნა ფონდის მიერ გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 33 ხელშეკრულება (Design-Build). აქედან, 32 შემთხვევაში ტენდერი გამოცხადდა 2019-2020 წლებში, ხოლო ერთ შემთხვევაში (ტენდერი NAT210013939) – 2021 წლის 27 ივლისს.

შესაბამისად, 33 ხელშეკრულება შემოწმდა ტენდერების გამოცხადების დროისთვის მოქმედი შესაბამისი რეგულაციებით, რაზედაც მითითებულია აუდიტის ანგარიშში. კერძოდ, კრიტერიუმებად გამოყენებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი (2006 წლის 01 იანვრიდან მოქმედი რედაქცია) და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული რეკომენდაციები (2017 წლის 15 ივნისისა და 2021 წლის 30 ივნისის მოქმედი რედაქციები).

ამდენად, პრეზიდენტმა მიიჩნევს, რომ აუდიტის ანგარიშის განსახილველ ქვეთავში მითითებული კრიტერიუმები რელევანტურია. აუდირებულ პერიოდში ბაზრის კვლევის ჩატარების ვალდებულების თაობაზე არსებობდა, როგორც ნორმატიული დანაწესი (ზემოაღნიშნული კანონის ნორმა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი – „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტები), ისე სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მაკოორდინირებელი ორგანოს მიერ გამოცემული რეკომენდაციები, რომლებსაც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო შეიმუშავებს სახელმწიფო შესყიდვების პროცესის სისტემატური შესწავლის და ანალიზის საფუძველზე, სახელმწიფო შესყიდვების პროცესის გაუმჯობესებისა და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის მიზნით, და რომლის გათვალისწინება თითოეული შემსყიდველი ორგანიზაციის პასუხისმგებლობას წარმოადგენს.

რაც შეეხება შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრას, საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ ამ მიზნით ბაზრის კვლევას ახორციელებდა ისეთი მეთოდის საფუძველზე, როგორიცაა არანაკლებ ორი პოტენციური მიმწოდებლის მიერ ინტერნეტსივრცეში განთავსებული ინფორმაციის ანალიზი, რისთვისაც იყენებდა სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ განხორციელებულ შესყიდვებს, სადაც ხელმისაწვდომი იყო სხვადასხვა მიმწოდებლის მიერ წარდგენილი სატენდერო ფასები.

პრეზიდენტმა აუდიტის მასალებში სადავო საკითხზე დაცული დოკუმენტაციის შესწავლით მივიდა დასკვნამდე, რომ შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მიზნით ფონდის მიერ განხორციელებული ბაზრის კვლევა ხასიათდება ნაკლოვანებებით. კერძოდ, ფონდს, ზემოთ მითითებული შესყიდვების 90%-ზე მეტ შემთხვევაში, შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მიზნით ბაზისად გამოყენებული აქვს სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ მისთვის მიწოდებული ანალოგიური შესყიდვის წინასწარი სახარჯთაღრიცხვო/საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ღირებულება, თუმცა სატენდერო კომისიის სხდომის ოქმებში არა აქვს მოცემული ანალიზი და დასაბუთება – რატომ არ იქნა ფონდის მიერ გათვალისწინებული ამავე ხარჯთაღრიცხვების საფუძველზე სააგენტოს მიერ ჩატარებული ტენდერების ფარგლებში ვაჭრობის შედეგად დადგენილი საბოლოო სახელშეკრულებო ფასები, ან თუნდაც მიმწოდებელთა მიერ შეთავაზებული ფასები.

პრეზიდენტმა აღნიშნავს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიის სხდომის ოქმები უნდა იყოს ინფორმაციული და სრულყოფილად ასახავდეს ბაზრის კვლევის შედეგებს, მათ შორის, შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პრეზიდენტმა მიიჩნევს, რომ ფონდს შესაძლებელია სამუშაოების სავარაუდო ღირებულებების განსაზღვრის მიზნით ბაზრის კვლევა სათანადოდ არ განუხორციელებია და ამის გათვალისწინებით, უნდა დაკორექტირდეს შესაბამისი

აუდიტორული შეფასების (ფონდი ბაზრის კვლევას არ ახორციელებდა) ფორმულირება აუდიტორული მიგნებით გამოვლენილი ნაკლოვანებების პროპორციულად.

2. ქვეთავი 2.2 – წინასწარ ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

წინასწარ ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებების შესახებ აუდიტორული მიგნება ორ საკითხს მოიცავს: პირველი საკითხი შეეხება ხელშეკრულების პირობების დარღვევით, ავანსების დასაბუთების გარეშე მიმწოდებლის მოთხოვნის საფუძველზე გაცემასა და გაცემული ავანსების დაქვითვის არაერთგვაროვან პრაქტიკას, ხოლო მეორე საკითხი – საბანკო გარანტიის ხელშეკრულების პირობების შეუსაბამოდ წარდგენას.

პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ საჩივრის ავტორის მოთხოვნა აუდიტის ანგარიშის 2.2 ქვეთავის ბათილად ცნობის შესახებ უსაფუძვლოა, ვინაიდან: ზემოთ ხსენებულ მეორე საკითხთან (საბანკო გარანტია) დაკავშირებით საჩივრის ავტორი არ მიუთითებს, რა გარემოებებს ეყრდნობა მისი მოთხოვნა (არც დაზუსტებული საჩივრის წარდგენისას და არც ზეპირ განხილვაზე აუდიტის ანგარიშში აღნიშნული ფაქტების გამაქარწყლებელი მტკიცებულებები არ წარმოდგენია), ხოლო პირველ საკითხთან (ავანსების გაცემა და დაქვითვა) მიმართებით, საჩივრის ავტორის მოსაზრებები დაუსაბუთებელია შემდეგ გარემოებათა გამო:

საჩივრის ავტორი ავანსის არგუმენტირებული მოთხოვნის საკითხზე განმარტავს, რომ მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას ხელშეკრულების ნომრის, განსახორციელებელი სამუშაოს და საავანსო ანგარიშსწორებისთვის საბანკო გარანტიის შესახებ საკმარისი არგუმენტია ავანსის გასაცემად. ამასთან დაკავშირებით პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ ინფორმაცია, რომელსაც საჩივრის ავტორის განმარტებით, შეიცავს მიმწოდებლის წერილობითი მომართვა, ადასტურებს მოთხოვნის არსებობას და არა მოთხოვნის დასაბუთებულობას. პრეზიდენტი მიუთითებს, რომ მოთხოვნის დასაბუთებულობა ვერ შემოიფარგლება ინფორმაციით – „რისთვის“, ანუ რომელი სამუშაოების განსახორციელებლად ითხოვს მიმწოდებელი საავანსო თანხას; მოთხოვნის დასაბუთებულობა არის მტკიცება სტანდარტით – „რატომ“, ანუ რა საჭიროებით, აუცილებლობითაა განპირობებული კონკრეტული სამუშაოების განსახორციელებლად ავანსის გაცემა, რის თაობაზე არგუმენტირებული გადაწყვეტილება უნდა მიიღოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მოთხოვნის პროექტის ინტერესებთან შეწონვის საფუძველზე. ამასთანავე, საბანკო გარანტიის წარმოდგენა არის ავანსის მოთხოვნისთვის აუცილებელი პირობა და არა ამ მოთხოვნის შინაარსობრივი დასაბუთება.

ანალოგიურად, საჩივრის ავტორი დამაჯერებლად ვერ ხსნის, რა კრიტერიუმებით, მიდგომებით ხელმძღვანელობს ფონდი ავანსების დაქვითვა-არდაქვითვის თაობაზე გადაწყვეტილებების მიღებისას. ფონდს ავანსების დაქვითვის პროპორციის განსაზღვრასთან დაკავშირებით, ერთიანი ფორმალიზებული მიდგომა/პოლიტიკა არა აქვს ჩამოყალიბებული. ამასთანავე, გარემოება, რომელზეც საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ ავანსის არდაქვითვის თაობაზე ყველა მომართვა ფონდის მიერ დაკმაყოფილებულია, თუმცა არ განმარტავს მომართვების დაკმაყოფილების საფუძვლებს, ადასტურებს, რომ ავანსის არდაქვითვისთვის საკმარისია მიმწოდებლის წერილობითი მომართვის არსებობა; ასეთ პირობებში კი აუხსნელია, რატომ შეიძლება უმეტეს შემთხვევაში მიმწოდებელი არ სარგებლობდეს ამ საშუალებით წესით. პრეზიდენტი აღნიშნავს: როდესაც დიფერენციაციის მიზეზები აუხსნელია, ეს ქმნის საფუძველს – ობიექტურად კრიტიკული აუდიტორული შეფასებისთვის დაუსაბუთებელი უპირატესობის მინიჭების რისკის არსებობის თაობაზე.

3. ქვეთავი 2.3 – რეაბილიტაციის პროექტების ნაკლოვანებები

პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ აუდიტორული მიგნება სკოლების რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის უხარისხოდ მომზადების თაობაზე დასაბუთებულია და ეფუძნება აუდიტის პროცესში მოძიებულ და გამოკვლეულ გარემოებებს, რომელთა დამადასტურებელი მტკიცებულებები აუდიტის მასალებშია წარმოდგენილი. საჩივრის

ავტორის მოსაზრებები ვერ აბათილებს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ნაკლოვანებებთან დაკავშირებით აუდიტის ანგარიშში მოყვანილ ფაქტებს. შესაბამისად, პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ აუდიტის ანგარიშის 2.3 ქვეპუნქტის ბათილად ცნობის საფუძველი არ არსებობს.

ამასთანავე, პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული ქვეპუნქტი უნდა დაკორექტირდეს აუდიტორული მსჯელობის ნაწილში, სადაც არასათანადო ხარისხის მომსახურების შესყიდვის რისკ-ფაქტორად მითითებულია, რომ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ტენდერის პირობები არ ითვალისწინებდა მოთხოვნას პრეტენდენტების ფინანსური ვალდებულებების თაობაზე ინფორმაციის წარდგენის შესახებ. განსახილველ შემთხვევაში პრეზიდენტმა ვერ მიიღო საკმარისი რწმუნება პირდაპირი მიზეზ-შედეგობრივი კავშირისა და მსგავსი შეზღუდვის საშუალებით პოტენციური რისკის მართვის ეფექტიანობის დასადგენად.

4. ქვეთავი 2.4 – ხელშეკრულებებში კონტროლის მექანიზმების ნაკლოვანებები

პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ საჩივრის ავტორის მოთხოვნა – აუდიტის ანგარიშის 2.4 ქვეთავის ბათილად ცნობის შესახებ, უსაფუძვლოა შემდეგ გარემოებათა გამო:

საჩივრის ავტორი არასწორად განმარტავს აუდიტის ანგარიშის 2.4 ქვეთავში მოცემული პირველი მიგნებისა და რეკომენდაციის შინაარსს, როდესაც მიუთითებს, თითქოს აუდიტორული შეფასებით, სკოლების დემონტირებული ვარგისი მასალები ფონდმა საკუთარ ბალანსზე უნდა აღრიცხოს, მაშინ როდესაც ეს მასალები სკოლების საკუთრებას წარმოადგენს.

პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ აუდიტის ანგარიშში არ წერია ფონდის ვალდებულებაზე იმ შინაარსით, რა შინაარსითაც საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის აუდიტორული მიგნებისა და რეკომენდაციის სისწორეს. კერძოდ, აუდიტის ანგარიშში კრიტერიუმად მითითებულია მშენებლობის შემფასებელთა კავშირის მეთოდური ცნობარი, რომლის თანახმად, შენობის ელემენტების დაშლის აუცილებლობის შემთხვევაში, უნდა შედგეს დაშლილი მასალების სრული ნუსხა, მათი ვარგისიანობის მითითებით და მასალები, რომლებიც არ გამოიყენება მშენებლობაში, დაზუსტებული ჩამონათვალის მიხედვით გადაეცეს დამკვეთს. სწორედ ამ კრიტერიუმთან მიმართებით შეფასებულია ფონდის საქმიანობა და ვინაიდან, ფონდის მიერ სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციასთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულებები არ ითვალისწინებს კონტრაქტორი კომპანიების ვალდებულებას – აღრიცხონ და ბენეფიციარებს გადასცენ დემონტირებული ვარგისი მასალები, ფონდისათვის გაცემულია რეკომენდაცია, რომ ხელშეკრულებებში განსაზღვროს კონტრაქტორი კომპანიების აღნიშნული ვალდებულება და მოსთხოვოს მისი განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტების ფონდისათვის წარდგენა.

ამის გარდა, საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის 2.4 ქვეთავში მოცემულ აუდიტორულ შეფასებას კონტროლის მექანიზმების ნაკლოვანებების თაობაზე იმაზე აპელირებით, რომ, მართალია, აუდიტის ანგარიშში განხილულ შემთხვევებს, როდესაც ფაქტობრივად შეუსრულებელი სამუშაოები შესრულებულად იყო ჩათვლილი და ანაზღაურებული, ჰქონდა ადგილი, თუმცა აღნიშნული არ მიუთითებს ფონდის კონტროლის მექანიზმების ნაკლოვანებებზე, ვინაიდან ეს დარღვევები ფონდის მიერვე იყო გამოვლენილი და ფონდმა შემდგომ გაატარა რეაგირების ღონისძიებები (ასე მაგალითად, კონტრაქტორებს სარეზერვო ფონდიდან ჩამოეჭრა თანხა). გარდა ამისა, საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ არარელევანტურია მოთხოვნა, შესრულებული სამუშაოების მოცულობისა და ხარისხის დადასტურება განახორციელოს აკრედიტებულმა პირმა, ვინაიდან სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობაზე ზედამხედველობას ახორციელებს ფონდის მშენებლობის ზედამხედველობის დეპარტამენტი და აკრედიტებულ პირთა ჩართვა გამოიწვევს დამატებით ხარჯებს და დროში საქმიანობის გაჭიანურებას.

პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ არ არსებობს აუდიტის ანგარიშის ამ ნაწილში ბათილად ცნობის საფუძველი, ვინაიდან, როგორც საჩივრის ავტორის განმარტებით, ისე აუდიტორულ მასალებში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდება ზემოხსენებულ აუდიტორულ მიგნებაში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებების სისწორე, რაც შესრულებულად ჩათვლილ და ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოებს შორის არსებულ შეუსაბამოებს უკავშირდება. ამასთანავე, ის გარემოება, რომ სამუშაოების შესრულების მდგომარეობა უსაფუძვლოდ იყო დადასტურებული და ანაზღაურებული, მიუთითებს არსებული კონტროლის მექანიზმის გაუმჯობესების საჭიროებაზე, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი ხარჯვა და პროგრამის განხორციელების გაჭიანურების პრევენცია. მხოლოდ პოსტფაქტუმ რეაგირებაზე ფოკუსირებული კონტროლის მექანიზმი ამ მხრივ ვერ იქნება ქმედითი. აქედან გამომდინარე, პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ აუდიტორული რეკომენდაცია, რომელიც არსებულ კონტროლის მექანიზმებს მიემართება და ფონდის მხრიდან მათი დახვეწის შესაძლებლობების განხილვას უკავშირდება, რაციონალურია.

5. ქვეთავი 2.5 – ხელშეკრულების პირობების შესრულების ნაკლოვანება

აუდიტის ანგარიშის 2.5 ქვეთავში აღუდირებული პროგრამის შეფასების კრიტერიუმად აღებულია სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების პირობა, რომლის თანახმად, ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანია მიმწოდებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და დასაქმებული ძირითადი სპეციალისტების კომპეტენციის შესაბამისობის დადგენა განსახორციელებელ სამუშაოებთან მიმართებით.

ფონდის საჩივართან დაკავშირებით, აუდიტორთა მიერ წარმოდგენილი განმარტებების თანახმად, წინამდებარე კრიტერიუმთან მიმართებით ფონდის საქმიანობის შეუსაბამობის შეფასების საფუძველია ის გარემოება, რომ ფონდის მიერ კონტროლი ხორციელდება სამუშაოების მიმდინარეობისას, მაშინ როდესაც ხელშეკრულების პირობა ითვალისწინებს კონტროლს განსახორციელებელ სამუშაოებთან მიმართებით, ანუ სამუშაოების დაწყებამდე.

საჩივრის ავტორი არ ეთანხმება აუდიტორთა მიერ ხელშეკრულების პირობის ამ შინაარსით განმარტებას და აღნიშნავს, რომ ეს პირობა გულისხმობს მიმდინარე სამუშაოებზე კონტროლს.

პრეზიდენტი არ იზიარებს სადავო საკითხზე აუდიტორულ შეფასებას, შემდეგ გარემოებათა გამო:

პრეზიდენტი მიუთითებს, რომ განსხვავებული ინტერპრეტაციის საგნად ქცეული სიტყვების: „შესაბამისობის დადგენა განსახორციელებელ სამუშაოებთან მიმართებით“ – ზუსტი შინაარსის დასადგენად, აღნიშნული წაკითხული უნდა იქნეს სახელშეკრულებო პირობის: „ხელშეკრულების შესრულების კონტროლი“ – ერთიან კონტექსტში, იქ მოცემული კონტროლის საგანთან რაციონალურ და გონივრულ კავშირში.

კერძოდ, სამშენებლო-სარეაბილიტაციო ხელშეკრულებების პირობების თანახმად, შემსყიდველი, ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე, ახორციელებს კონტროლს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, სხვადასხვა ღონისძიების გამოყენების გზით, რომელთაგან ერთ-ერთის მიზანია, განსახორციელებელ სამუშაოებთან მიმართებით მიმწოდებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და დასაქმებული ძირითადი სპეციალისტების კომპეტენციის შესაბამისობის დადგენა.

აღნიშნულიდან იკვეთება, რომ კონტროლის მექანიზმი მიემართება მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, ანუ სამუშაოს შესრულების მიმდინარეობას, მისი ფაქტობრივად დაწყების მომენტიდან დასრულებამდე და მოიცავს ხარისხის რეგულარულ შემოწმებას, მიმწოდებლის სამშენებლო ტექნიკის გამართულობისა და პერსონალის კვალიფიკაციის დასადგენად, რათა შემსყიდველის მხრიდან დროულად მოხდეს სათანადო რეაგირება.

პრეზიდენტი ყურადღებას მიაქცევს იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ აუდიტის ანგარიშის თანახმად, ფონდი ახორციელებდა მიმდინარე სამუშაოების შესრულების ხარისხის კონტროლს, რის საფუძველზეც გამოვლენილ იქნა, პერსონალის არაკომპეტენტურობის შედეგად, არასათანადო ხარისხით შესრულებული სამუშაოები.

ამდენად, პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ აუდიტორული შეფასება განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, უსაფუძვლოა. შესაბამისად, ცვლილება უნდა შევიდეს აუდიტის ანგარიშში და ამოღებულ იქნეს 2.5 ქვეთავი „ხელშეკრულების პირობების შესრულების ნაკლოვანება“ და შემაჯამებელი მიმოხილვის შესაბამისი ეპიზოდი.

6. ქვეთავი 2.7 – ჯარიმების დაკისრების ნაკლოვანება

საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის აუდიტის ანგარიშში აღწერილ ფაქტობრივ გარემოებას და ითხოვს აუდიტის ანგარიშიდან ამოღებულ იქნეს ჩანაწერი – „ფონდს ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში კონტრაქტორებისთვის ჯარიმის დარიცხვის არაერთგვაროვანი პრაქტიკა გააჩნია“.

აუდიტორთა განმარტებით, სადავოდ გამხდარი შეფასება ეფუძნება იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომ აუდიტის მსვლელობისას, აუდიტორთა მიერ გამოვლენილ იქნა 7 შემთხვევა, როდესაც, ხელშეკრულებების პირობების არსებითი დარღვევის გამო, ხელშეკრულებების შეწყვეტის მიუხედავად, ფონდს არ ჰქონდა გატარებული ამავე ხელშეკრულებებით განსაზღვრული პასუხისმგებლობის ზომები, კერძოდ, მიმწოდებლების მიმართ საჯარიმო სანქციები არ ჰქონდათ დარიცხული. აღნიშნული 7 ხელშეკრულებიდან, 3 ხელშეკრულება შეწყდა 2022 წლის სექტემბერში, 3 ხელშეკრულება – 2022 წლის დეკემბერში და ერთი ხელშეკრულება – 2023 წლის თებერვალში. საჯარიმო სანქციების დაკისრების თაობაზე კი, ფონდმა სასამართლოს მიმართა 2024 წლის აპრილში (11, 16 და 18 რიცხვებში). ამდენად, მოცემული ხელშეკრულებების დარღვევის ფაქტებზე, ფონდის მხრიდან რეაგირება მოხდა: 2023 წლის თებერვალში შეწყვეტილ ხელშეკრულებაზე – 13 თვის შემდგომ, 2022 წლის დეკემბერში შეწყვეტილ ხელშეკრულებაზე – 16 თვის შემდგომ, ხოლო 2022 წლის სექტემბერში შეწყვეტილ ხელშეკრულებაზე – 18 თვის შემდგომ. აუდიტორები აღნიშნავენ, რომ ფონდის მიერ შეწყვეტილ ხელშეკრულებებზე მიმწოდებლების მიმართ შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომების გატარებისას, მხოლოდ ხანდაზმულობის ვადების დაცვა ვერ იქნება საჯარო ფინანსების ეფექტიანი მართვის ინდიკატორი და სწორედ ამ თვალსაზრისით საქმიანობის გაუმჯობესების საჭიროებაზე მიმართული აუდიტორული შეფასება.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ სასარჩელო განცხადებები შესაძლებელია შეტანილ იქნეს ხელშეკრულებების შეწყვეტიდან დროის სხვადასხვა ინტერვალში და ამ თვალსაზრისით, ერთგვაროვნება ვერ იქნება დაცული, ვინაიდან, სხვადასხვა ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სასარჩელო მოთხოვნის ოდენობის შესაფასებლად საჭიროა მთელი რიგი ღონისძიებების გატარება, მაგალითად, ექსპერტიზა, რომლის ხანგრძლივობა ექსპერტიზის დაკვეთის მოთხოვნის მოცულობაზეა დამოკიდებული. საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მთავარია დაცული იყოს მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადები.

ზემოაღნიშნულ სადავო საკითხთან დაკავშირებით, პრეზიდენტი მივიდა დასკვნამდე, რომ აუდიტის ანგარიშში განსახორციელებელია ცვლილება, შემდეგი გარემოების გათვალისწინებით:

პრეზიდენტი იზიარებს აუდიტორთა პროფესიულ მსჯელობას, რომ ფონდმა, ხელშეკრულების არსებით დარღვევებზე რეაგირების მიზნით, მხოლოდ ხანდაზმულობის ვადებით არ უნდა იხელმძღვანელოს. საჯარო ფინანსების განკარგვაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია უნდა მოქმედებდეს გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე და გამოიყენოს რეაგირების შესაბამისი მექანიზმები საჯარო ინტერესების დასაცავად.

პრეზიდენტმა სარწმუნოდ არ მიიჩნია საჩივრის ავტორის არგუმენტაცია, რომ დრო (13, 16, 18 თვე), რომელიც, საჩივრის ავტორის განმარტებით, მას დასჭირდა სასარჩელო განცხადებების

მოსამზადებლად, ობიექტური საჭიროებებით იყო განპირობებული. გარემოება, რომ ფონდის მიერ შვიდივე შემთხვევაზე სარჩელი წარდგენილი იქნა ფაქტობრივად ერთსა და იმავე დროს, კერძოდ, 2024 წლის 11, 16 და 18 აპრილს, მიუთითებს იმაზე, რომ შვიდივე შეწყვეტილი ხელშეკრულების შემთხვევაში, ფონდის მიერ 13-თვიანი, 16-თვიანი და 18-თვიანი დაყოვნებით განხორციელებული რეაგირება ობიექტური გარემოებებით არ არის ნაკარნახევი და განხორციელდა მხოლოდ აუდიტორთა მომართვის შემდეგ, რაც ფონდის მხრიდან რეაგირების პროცესის დაწყების კატალიზატორი გახდა.

პრეზიდენტი ასევე აღნიშნავს, რომ აუდიტორული შეფასების ფორმულირება არაერთგვაროვნების თაობაზე, შესაბამისად ვერ ასახავს აუდიტორული მიგნების შინაარსს და აქედან გამომდინარე, აუდიტის ანგარიში უნდა დაკორექტირდეს აუდიტორული შეფასების აუდიტით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან შესაბამისობაში მოყვანის თვალსაზრისით. ამასთანავე, 2.7 ქვეთავში უნდა გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა და იქ მოცემული ცხრილის შესაბამისად, ფაქტობრივ გარემოებაში ხუთის ნაცვლად მიეთითოს შვიდი შეწყვეტილი კონტრაქტის თაობაზე.

7. ქვეთავი 2.8 – ობიექტების დაზღვევის ნაკლოვანებები

საჩივრის ავტორის მოთხოვნა, დაკორექტირდეს აუდიტის ანგარიშის 2.8 ქვეთავი, ეფუძნება შემდეგ არგუმენტს: ვინაიდან კანონმდებლობა არ შეიცავს დათქმას, რომლითაც სადაზღვევო პოლისის წარუდგენლობა ხელშეკრულების შეწყვეტის ვალდებულებას წარმოშობს, ამიტომ აღნიშნული შეიძლება გახდეს ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი, რაც მხარის უფლებამოსილებას წარმოადგენს და არა – ვალდებულებას. ამის გათვალისწინებით, საჩივრის ავტორის მოთხოვნაა, რომ აუდიტის ანგარიშიდან ამოღებულ იქნეს წინადადება – „რაც ფონდის მიერ არ განხორციელებულა“, ვინაიდან ეს ჩანაწერი შეიძლება აღქმულ იქნეს იმგვარად, რომ ფონდს ვალდებულება არ შეუსრულებია.

პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ აუდიტის ანგარიშის გასაჩივრებულ ნაწილში ცვლილების შეტანის მოთხოვნა დაუსაბუთებელია შემდეგ გარემოებათა გამო:

სადაზღვევო პოლისის წარმოდგენა ფონდის მიერ სამშენებლო კომპანიებთან სახელმწიფო შესყიდვის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებებით განსაზღვრულ მიმწოდებელთა ვალდებულებას წარმოადგენდა, რაც დასტურდება აუდიტის მასალებში დაცული დოკუმენტაციით.

საჩივრის ავტორი არ უარყოფს, რომ 79 ხელშეკრულებიდან 5 შემთხვევაში მიმწოდებლებმა დაარღვიეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება, რომელიც შესყიდვის ობიექტის (მიმწოდებლის მანქანა-დანადგარების დაზიანება ან დაკარგვა, მესამე პირთა საკუთრების დაზიანება, მიმწოდებლის პერსონალის ტრავმა ან სიკვდილი, მესამე პირთა დაზავება ან სიკვდილი) დაზღვევას უკავშირდება.

ამ ხელშეკრულებების თანახმად, დაზღვევის პოლისის წარუდგენლობა შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია.

საჩივრის ავტორი ადასტურებს, რომ ფონდს, მიმწოდებლების მიერ ზემოაღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, ხელშეკრულებები არ შეუწყვეტია და განმარტავს, რომ შემსყიდველს უფლება აქვს და არა ვალდებულება, გამოიყენოს ეს მექანიზმი.

ზემოხსენებულთან დაკავშირებით პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის მექანიზმი, მისი მიზნიდან გამომდინარე, ინსტრუმენტული ხასიათისაა, რომელიც წარმოადგენს შემსყიდველის უფლებებისა და ინტერესების დაცვის საშუალებას, რომლებსაც მიმწოდებლები არღვევენ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობით.

შესაბამისად, აუდიტის ანგარიშში მართებულად არის დასმული საკითხი – რატომ არ მიმართა ფონდმა ამ ღონისძიებას, მაშინ როდესაც შესყიდვის ობიექტის დაზღვევის თაობაზე სახელშეკრულებო მოთხოვნის დარღვევის პირობებში, რისკის ქვეშ დგება სამშენებლო სამუშაოების მსვლელობა, სამშენებლო ობიექტი, მასალა, სპეცტექნიკა, მესამე პირთა საკუთრება, მიმწოდებლის პერსონალისა და სხვა პირთა ჯანმრთელობა და სიცოცხლე.

პრეზიდენტი ასევე ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ შესყიდვის ობიექტის დაზღვევის მოთხოვნა ფონდის მიერ სატენდერო პირობად იყო განსაზღვრული, პრეტენდენტის მიერ სატენდერო პირობების შეუსრულებლობა კი, დისკვალიფიკაციის საფუძველია. ამასთანავე, ამა თუ იმ მოთხოვნის სატენდერო პირობად განსაზღვრა შესაძლებელია გახდეს შესყიდვებში მონაწილეობაზე პოტენციურ პრეტენდენტთა უარის თქმის საფუძველი. ამდენად, იმ პირობებში, როდესაც შესყიდვის ობიექტის დაზღვევის მოთხოვნა ტენდერში გამარჯვებისათვის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია, შემდგომ კი, სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში, ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის მიმართ შემსყიდველი დაუსაბუთებლად ლიბერალურ მიდგომას იყენებს და 79 ხელშეკრულებიდან 5-ის შემთხვევაში მიმწოდებლებს ფაქტობრივად ათავისუფლებს ამ ვალდებულების შესრულებისაგან, აღნიშნული აჩენს კითხვებს შემსყიდველის პასუხისმგებლიან და სამართლიან დამოკიდებულებაზე საჯარო და კერძო ინტერესების მიმართ. პრეზიდენტი ვერ გაიზიარებს ფონდის განმარტებას, რომ ვინაიდან ხელშეკრულების შეწყვეტა მისი უფლებამოსილებაა, ამიტომ ფონდი აბსოლუტურად თავისუფალია ქმედებებში. პრეზიდენტი მიუთითებს, რომ უფლებამოსილმა ადმინისტრაციულმა ორგანომ, რომელსაც საჯარო ფუნქციების შესრულება ეკისრება და სამართავად მინდობილი აქვს საჯარო რესურსები, გადაწყვეტილებები მაღალი დასაბუთებულობის სტანდარტით უნდა მიიღოს.

8. ქვეთავი 2.9 – საბანკო გარანტიების წარმოდგენისას არსებული ხარვეზები

აუდიტორული მიგნების შესაბამისად, გამოვლენილ იქნა შემთხვევები, როდესაც ხელშეკრულებებში განხორციელებული ცვლილებების გამო, გარანტიების მოქმედების ვადა და მოცულობა არ შეესაბამებოდა სატენდერო და სახელშეკრულებო პირობებით დადგენილ ვადებსა და მოცულობებს.

საჩივრის ავტორი არ ეთანხმება აღნიშნულ მიგნებას, ვინაიდან მისი განმარტებით, აუდიტის ანგარიშის 2.9 ქვეთავის N2.1 დანართში მითითებული მონაცემები არ იძლევა სწორ ინფორმაციას ავანსის გარანტიის ვადებისა და ავანსის გარანტიის თანხის ოდენობების შესახებ, რომელიც დანართის ცხრილში მითითებული თარიღისათვის სრულად გაქვითული ან გამოთხოვილი იყო. ამასთანავე, საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ აუდიტორულ მიგნებაში ასახულ საბანკო გარანტიებთან დაკავშირებული გარემოებების გამო, ფონდს ფინანსური ზიანი არ მიუღია. აქედან გამომდინარე, საჩივრის ავტორი ითხოვს ამ ქვეთავის ბათილად ცნობას ან მასში შესაბამისი ცვლილების განხორციელებას.

პრეზიდენტი მიუთითებს, რომ სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობით დადგენილია ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფისა და წინასწარი ანგარიშსწორების გარანტიების მოქმედების პირობები. ამასთანავე, გარანტიების ვადები და მისი მოცულობა განისაზღვრება სატენდერო და სახელშეკრულებო პირობებით, რომლის შესაბამისად, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფისა და წინასწარი ანგარიშსწორების გარანტიების მოქმედების ვადა 60 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების საბოლოო ვადას. შესაბამისად, აუდიტორული მსჯელობა, რომ ხელშეკრულებებში განხორციელებული ცვლილებების შემთხვევაში, გარანტიების მოქმედების ვადა და მოცულობა უნდა შეესაბამებოდეს სატენდერო და სახელშეკრულებო პირობებით დადგენილ ვადებსა და მოცულობებს, მართლზომიერია. პრეზიდენტი ასევე აღნიშნავს, რომ ამ მოთხოვნის დარღვევის საპირწონე ვერ იქნება არგუმენტი, რომ ფონდს ფინანსური ზიანი არ მიუღია. შესაბამისად, ამ ნაწილში საჩივრის ავტორის მოთხოვნა უსაფუძვლოა.

ამასთანავე, პრეზიდენტი იზიარებს საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ აუდიტის ანგარიშის 2.9 ქვეთავის N2.1 დანართში ასახული ინფორმაცია დაზუსტებას მოითხოვს და ამ ნაწილში ცვლილებაა შესატანი.

9. ქვეთავი 2.10 – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და შესრულებული სამუშაოს ანგარიშების ნაკლოვანებები

პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ საჩივრის ავტორის მოთხოვნა აუდიტის ანგარიშის 2.10 ქვეთავის ბათილად ცნობის თაობაზე უსაფუძვლოა, შემდეგ გარემოებათა გამო:

აუდიტის მასალებში დაცული მტკიცებულებებით დასტურდება, რომ სატენდერო დოკუმენტაცია ითვალისწინებდა მიმწოდებლის ვალდებულებას ჩასატარებელი სამუშაოების დეტალური სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარდგენის შესახებ. ამ კრიტერიუმთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, აუდიტის ჯგუფის მიერ შესამოწმებლად შერჩეულ იქნა სკოლის მშენებლობის 33 ხელშეკრულება. დასტურდება, რომ 22 ხელშეკრულებისგან განსხვავებით, 11 ხელშეკრულების შემთხვევაში სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ჩაშლილი არ იყო რაოდენობრივი მაჩვენებლებისა და ერთეულის ფასების დონეზე, თუმცა ოცდაცამეტივე შემთხვევაში გაფორმდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების აქტი, სადაც აღნიშნულია, რომ დოკუმენტაცია აკმაყოფილებს სატენდერო პირობებს.

საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ, ვინაიდან ფონდის სატენდერო დოკუმენტაცია არ განსაზღვრავს ხარჯთაღრიცხვის დეტალიზაციის დონეს, აღნიშნული იმას გულისხმობს, რომ კონტრაქტორს ჰქონდა ვალდებულება – მოემზადებინა და წარმოედგინა ხარჯთაღრიცხვა მისთვის მისაღები დეტალიზაციით, რათა ორივე მხარისათვის მოხერხებული ყოფილიყო ანაზღაურების განხორციელება სამუშაოთა მიმდინარეობის პროცესში. ამის გათვალისწინებით, საჩივრის ავტორი არ ეთანხმება აუდიტორულ შეფასებას, რომლის თანახმად, 11 შემთხვევაში კონტრაქტორების მიერ შედგენილი და ფონდის მიერ მიღებულია სატენდერო მოთხოვნების შეუსაბამო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

სადავო საკითხთან დაკავშირებით პრეზიდენტი მიუთითებს, რომ სატენდერო პირობებს შემსყიდველი განსაზღვრავს, რათა მიიღოს თავისი მოთხოვნის, ინტერესის შესაბამისი საქონელი/სამშენებლო სამუშაო/მომსახურება. ამდენად, სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დეტალიზაციის მისაღები დონის განსაზღვრა სწორედ შემსყიდველის და არა მიმწოდებლის გადასაწყვეტია, როგორც ამაზე საჩივრის ავტორი მიუთითებს. აქედან გამომდინარე, პრეზიდენტი იზიარებს აუდიტორულ მოსაზრებას, რომ 11 შემთხვევაში სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ასევე უნდა ყოფილიყო ჩაშლილი, როგორც დანარჩენი 22 სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომლებიც ფონდის მიერ მიჩნეულ იქნა სატენდერო პირობებთან შესაბამისობაში მომზადებულად. პრეზიდენტი ასევე აღნიშნავს, რომ საჩივრის ავტორი ვერ ასაბუთებს: როგორ მოახდინა ფონდმა მიმწოდებლების მიერ მომზადებული სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოცემულ სატენდერო პირობასთან შესაბამისობის დადგენა და მიღება-ჩაბარების გაფორმება, თუკი, მისივე განმარტებით, სატენდერო პირობა ხარჯთაღრიცხვის დეტალიზაციის თაობაზე იყო ზოგადი და, მაშასადამე, არაგაზომვადი; ამასთანავე, თუკი ეს მოთხოვნა ფორმალური ხასიათის იყო და არანაირ დატვირთვას შემსყიდველისთვის არ ატარებდა, რატომ განისაზღვრა მაშინ სატენდერო პირობად; ამას გარდა, თუკი 22 ხელშეკრულების შემთხვევაში სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დეტალიზაცია ხელს არ შეუშლიდა მხარეთა მოქნილობას ანაზღაურების განხორციელებაში სამუშაოთა მიმდინარეობის პროცესში, რატომ შეიძლებოდა სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დეტალიზაცია დამაბრკოლებელი გარემოება გამხდარიყო დანარჩენ 11 შემთხვევაში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ საჩივრის ავტორის არგუმენტაცია ვერ ადასტურებს სადავო საკითხის ბათილად ცნობის მოთხოვნის საფუძვლიანობას.

რაც შეეხება საჩივრის ავტორის პრეტენზიას აუდიტორულ შეფასებაზე შესრულებული სამუშაოს ანგარიშების ნაკლოვანებებთან დაკავშირებით, პრეზიდენტი ვერც ამ ნაწილში გაიზიარებს

მოთხოვნას აუდიტორული მიგნების ბათილად ცნობის თაობაზე, ვინაიდან აუდიტის მასალებში დაცული მტკიცებულებებით დასტურდება, რომ სკოლების მშენებლობებთან დაკავშირებით კონტრაქტორების მიერ ფონდში წარდგენილი შესრულებული სამუშაოების ანგარიშები არ მოიცავს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობებს, რაც არ შეესაბამება ხელშეკრულებებით განსაზღვრულ მიღება-ჩაბარების წესს, რომლის თანახმად, სამუშაოს ან მისი ნაწილის მიღება-ჩაბარება ხორციელდება შესრულებული სამუშაოს ანგარიშის საფუძველზე, მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის მოცულობის შესაბამისად; ასევე შესრულებული სამუშაოს დადასტურების მიზნით, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს მიწოდებული სამუშაოების მოცულობები ელექტრონულ ვერსიასთან ერთად.

10. ქვეთავი 2.11 – რეაბილიტაციის პროექტების კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზის ხარვეზები

პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ აუდიტის ანგარიშის 2.11 ქვეთავი უცვლელად უნდა დარჩეს, გარდა N3 რეკომენდაციისა, სადაც უნდა განხორციელდეს შესაბამისი ცვლილება, შემდეგის გათვალისწინებით:

უდავოა, რომ სკოლების რეაბილიტაციის საპროექტო მომსახურებასთან დაკავშირებული ტენდერების პირობებში გათვალისწინებული იყო კონსტრუქციული დასკვნების შედგენა აკრედიტებული ექსპერტის მიერ (აუდიტის კრიტერიუმი).

პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ აუდიტის ანგარიშის 2.11 ქვეთავში მოცემული ფაქტობრივი გარემოებების აღწერილობიდან და დასკვნის ტექსტიდან ცხადად იკითხება, რომ სკოლების რეაბილიტაციის ხელშეკრულებების პირობები და შესრულების მდგომარეობა აუდიტორთა მიერ შეფასებულია ზემოთ დასახელებულ კრიტერიუმთან შესადარისობაში და არა შესაბამისობაში, როგორც ამაზე მიუთითებს საჩივრის ავტორი. კერძოდ, აუდიტის ანგარიშის თანახმად: სკოლების რეაბილიტაციის საპროექტო მომსახურების ხელშეკრულებებისგან განსხვავებით, რეაბილიტაციის ხელშეკრულებები არ ითვალისწინებდა პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ცვლილებების აკრედიტებული ექსპერტის მიერ დამოწმებას; შესაბამისად, ზოგიერთ შემთხვევაში აღნიშნული ცვლილებები განხორციელებულია მხოლოდ პროექტის ავტორის, ფონდის ტექნიკური საბჭოს და ფონდის კონსტრუქტორის დასკვნის საფუძველზე, შესაბამისი აკრედიტებული პირის საექსპერტო დასკვნის გარეშე.

რაც შეეხება სკოლების რეაბილიტაციის სამუშაოების დროს პროექტების კონსტრუქციული ნაწილის ცვლილებების აკრედიტებული ექსპერტის მიერ დამოწმების თაობაზე რეკომენდაციას, აუდიტორთა განმარტებით, აღნიშნული მიემართება კონტროლის მექანიზმების გაძლიერების მიზანშეწონილობას, იმის მხედველობაში მიღებით, რომ ეს ცვლილებები მოიცავს ისეთ სამუშაოებს, როგორებიცაა: ავარიული კედლებისა და საძირკვლის გამაგრება, შენობის გამაგრების ფოლადის ზოლოვანი სარტყლის მოწყობის ტექნოლოგიის ცვლილება, ავარიული ბაქნის დემონტაჟი და ახლის მშენებლობა და ა.შ.

საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ სკოლების რეაბილიტაციის ხელშეკრულებები არ ითვალისწინებდა სკოლების რეაბილიტაციის საპროექტო მომსახურების სატენდერო პირობის მსგავს მოთხოვნას – სამშენებლო პროცესში პროექტის კონსტრუქციული ცვლილებების აკრედიტებული სპეციალისტის მიერ დამოწმების შესახებ, ვინაიდან აღნიშნული ცვლილებები ხორციელდებოდა ფონდის ტექნიკური საბჭოს დასკვნის საფუძველზე, რომლის წევრებს გააჩნიათ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N256 დადგენილებით განსაზღვრული საგანმანათლებლო ცენტრი და გამოცდილება. საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მოცემული ნორმატიული აქტი აკრედიტებულ/სერტიფიცირებულ ექსპერტებთან ერთად საექსპერტო შეფასების უფლებამოსილებას ასევე ანიჭებს შესაბამისი საგანმანათლებლო ცენტრისა და გამოცდილების მქონე პირებს. შესაბამისად, ფონდს სრული უფლება ჰქონდა გადაეწყვიტა, ვის დაუკვეთდა საექსპერტო შეფასება.

პრეზიდენტი მიუთითებს აუდიტორული რეკომენდაციის საფუძვლიანობაზე, შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

გარემოება, რომ სკოლების რეაბილიტაციის საპროექტო მომსახურების შესყიდვისას ფონდი სატენდერო მოთხოვნად განსაზღვრავს კონსტრუქციული დასკვნების შედგენას აკრედიტებული სპეციალისტის მიერ, მაშინ როდესაც, მისივე განმარტებით, ჰყავს შესაბამისი საგანმანათლებლო ცენტრისა და გამოცდილების მქონე თანამშრომლები, მიუთითებს, რომ ფონდი თავადაც ადასტურებს პროექტის კონსტრუქციული ნაწილის შეფასებაში აკრედიტებული სპეციალისტის ჩართვის აუცილებლობას. თუ ეს ასე არ არის, გამოდის, რომ არასაჭირო სატენდერო პირობის დადგენით ფონდმა გაიძვირა საპროექტო მომსახურების შესყიდვა და გადაიხადა იმაზე მეტი, ვიდრე ეს დაუჯდებოდა მსგავსი პირობის დადგენის გარეშე. გარდა ამისა, როდესაც თავდაპირველი პროექტის კონსტრუქციული ნაწილის შესაფასებლად მოთხოვნილია აკრედიტებული სპეციალისტის დასკვნა, შემდგომში მასში ცვლილებების განხორციელება ასეთი ექსპერტის დასკვნის გარეშე, აზრს უკარგავს პროექტის აღნიშნული ხარისხობრივი მახასიათებლით შესყიდვას.

ამასთანავე, პრეზიდენტი დისკრეციული უფლებამოსილების საკითხზე, რაზედაც საჩივრის ავტორი მიუთითებს, როდესაც საუბრობს საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე ფონდის მიერ შესაბამისი არჩევანის გაკეთების თავისუფლებაზე, განმარტავს: დისკრეციული უფლებამოსილება, თავისუფლების მინიჭებასთან ერთად, ადმინისტრაციულ ორგანოს აკისრებს პასუხისმგებლობას, რომ საჯარო სკოლების შენობების უსაფრთხოების ინტერესის დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება, რაც გულისხმობს მიზნის მიღწევის საუკეთესო საშუალების შერჩევას არა მხოლოდ სამართლებრივი მდგენელით, არამედ მიზანშეწონილობაზე დაყრდნობით შეფასების საფუძველზე.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, პრეზიდენტი იზიარებს აუდიტორული რეკომენდაციის პათოსს და ადგენს, რომ არ არსებობს მისი გაუქმების საფუძველი, თუმცა იმისათვის, რომ მასში ჩადებული იდეა უფრო მკაფიოდ იკითხებოდეს, მიიჩნევს, რომ რეკომენდაციის არსებული ფორმულირება უნდა დაიხვეწოს.

11. ქვეთავი 2.14 – მშენებლობა-რეაბილიტაციის პროცესის ნაკლოვანებები

პრეზიდენტი მიუთითებს, რომ საჩივრის ავტორის მოთხოვნას წარმოადგენს 2.14 ქვეთავის ბათილად ცნობა, რომელიც ხუთი საკითხისგან შედგება, თუმცა მისი პრეტენზია მოიცავს მხოლოდ სამ საკითხს, კერძოდ:

ა) საჩივრის ავტორი ვერ ხედავს აუდიტის ანგარიშში ისეთი ინფორმაციის ასახვის საჭიროებას, რომელიც შეეხება გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფლების: ჯანდარის, ნორიოს და გამარჯვების საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით, ფონდის მიმართვის საფუძველზე, გენერალური პროკურატურის გამოძიებით გამოვლენილ დანაშაულებრივ ქმედებას, რის შედეგადაც ბიუჯეტიდან ზედმეტად იქნა ანაზღაურებული 2,144,830.00 ლარი. შესაბამისად, საჩივრის ავტორი მოითხოვს ამ ინფორმაციის აუდიტის ანგარიშიდან ამოღებას.

პრეზიდენტი ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის აღნიშნულ პოზიციას და განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის, „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ამოცანაა არამხოლოდ საჯარო ფინანსების კანონიერად და ეფექტიანად ხარჯვის კონტროლი და ამ მიმართულებით კონკრეტული აუდიტის ობიექტისთვის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული რეკომენდაციების

გაცემა, არამედ ასევე საჯარო მმართველობის ანგარიშვალდებულების ხელშეწყობა, რაც საჯარო სახსრების ხარჯვის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, საზოგადოებისა და საჯარო რესურსების მართვასა და კონტროლზე პასუხისმგებელი უწყებების ინფორმირებას მოიცავს.

საჩივრის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ აუდიტის ანგარიშიდან ამოსაღებია ინფორმაცია, რომლის შესაბამისად, ფონდის მიერ ინვენტარიზაციით გამოვლენილ და სამართალდამცავი ორგანოებისთვის გადაცემულ ინფორმაციასთან შედარებით, აუდიტის ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შემოწმებით დამატებით დადგინდა საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით 707,418.00 ლარის ზედმეტად ანაზღაურების ფაქტები. საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ ფონდის მიერ ინვენტარიზაციით გამოვლენილი თანხის (1,362,877.00 ლარი) და აუდიტორთა მიერ დამატებით გამოვლენილი თანხის (707,418.00 ლარი) დაჯამებით გამოდის 2,070,295.00 ლარი, რაც 74,535.00 ლარით ნაკლებია საქართველოს გენერალური პროკურატურის გამოძიებით დადგენილ თანხასთან – 2,144,830.00 ლართან შედარებით. აღნიშნული მიუთითებს აუდიტორთა მიერ გამოთვლის უზუსტობაზე, ასევე ეჭვქვეშ აყენებს ფონდის მიერ აბსოლუტურად ზუსტ გამოთვლას და პროკურატურის მიერ დადგენილი თანხის ოდენობას, რომლის სისწორე დადასტურებულია კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.

პრეზიდენტი ვერც ამ ნაწილში გაიზიარებს საჩივრის ავტორის პოზიციას და განმარტავს, რომ აუდიტორული მიგნება მიემართება ფონდის მიერ განხორციელებული ინვენტარიზაციის ნაკლოვანებებს, რის გამოც, ფონდის მიერ გამოვლენილი თანხა – 1,362,877.00 ლარი, აუდიტორთა მიერ გამოვლენილ თანხასთან შედარებით – 707,418.00 ლარით ნაკლებია, ხოლო სამართალდამცავი ორგანოების მიერ დადგენილ თანხასთან შედარებით, ნაკლებია – 781,953.00 ლარით, ამიტომ საჩივრის ავტორის არგუმენტაცია ფონდის მიერ აბსოლუტურად სწორი გამოთვლის თაობაზე ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. რაც შეეხება იმას, რომ აუდიტორთა მიერ დაანგარიშებული თანხა (2,070,295.00 ლარი) 74,535.00 ლარით ნაკლებია სამართალდამცავი ორგანოების მიერ დადგენილ თანხაზე (2,144,830.00 ლარი), აღნიშნული იმით არის განპირობებული, რომ აუდიტის ანგარიშში ასახული მონაცემი მოპოვებულია ფონდის მიერ აუდიტის პროცესში წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით, ხოლო საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ ექსპერტიზით დადგენილი საბოლოო მონაცემი დაფუძნებულია საკონტროლო აზომვებზე, რითაც დამატებით, 74,535.00 ლარის ზედმეტად ანაზღაურების ფაქტი იქნა გამოვლენილი.

ამდენად, პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ საჩივრის ავტორის არგუმენტაცია ვერ ადასტურებს საჩივრის ავტორის მიერ სადავოდ გამხდარი ზემოთ მითითებული საკითხების ბათილად ცნობის მოთხოვნის საფუძველიანობას.

ბ) საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ აუდიტის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია, რომელიც შეეხება ქალაქ რუსთავის N25 და N26 საჯარო სკოლებში ხელმეორედ განხორციელებულ სამუშაოებზე ანაზღაურებულ თანხებს, არ არის სრულყოფილი, ვინაიდან არ შეიცავს მითითებას გამომწვევ მიზეზებზე, რაც ცვლის ინფორმაციის აღქმადობას ფონდის მიმართ ნეგატიურ კონტექსტში. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ დაზიანებები, რის გამოც საჭირო გახდა სამუშაოების ხელმეორედ ჩატარება, გამოწვეული იყო ისეთი მიზეზებით, როგორებიცაა: ქურდობის ფაქტი და სტიქიური მოვლენები, რის თაობაზეც ეცნობა აუდიტის ჯგუფს და წარედგინა დაზიანების ფაქტების ამსახველი დოკუმენტაცია, თუმცა ეს ინფორმაცია არ იქნა გათვალისწინებული.

აუდიტის ჯგუფის განმარტებით, ფონდის მიერ მიწოდებული ინფორმაციიდან ვერ მიიღეს საკმარისი რწმუნება დაზიანების რეალური მოცულობისა და მასზე გაწეული მოცულობის სამუშაოების საჭიროების თაობაზე. აუდიტის ჯგუფი მიუთითებს, რომ ფონდის მიერ არ იქნა წარმოდგენილი ხელშეკრულების შეწყვეტის მდგომარეობით (2022 წლის 5 დეკემბერი)

სამუშაოების ზედამხედველის მიერ შედგენილი შესრულებული და დარჩენილი სამუშაოების აღმწერელი აქტები, ასევე განხორციელებული სამუშაოების დაზიანებებზე შედგენილი დეფექტური აქტები.

პრეზიდენტმა შეისწავლა რა სადავო საკითხთან დაკავშირებით აუდიტის მასალებში დაცული ინფორმაცია, მივიდა დასკვნამდე, რომ ფონდის მიერ სამუშაოების ხელმეორედ ჩატარების გარემოებების გასამყარებლად წარმოდგენილი მასალები არ იძლეოდა იმ ხარისხის სარწმუნოებას, რაც ობიექტურ საფუძველს შეუქმნიდა აუდიტის ჯგუფს საწინააღმდეგო აუდიტორული პოზიციის ჩამოსაყალიბებლად.

საჩივრის ავტორი ამავე საკითხთან დაკავშირებით ითხოვს, რომ აუდიტის ანგარიშში აისახოს ინფორმაცია შეწყვეტილ ხელშეკრულებებზე ფონდის მიერ საჯარიმო სანქციების დაკისრების თაობაზე, რის საფუძველზეც ნათელი გახდება, რომ ხელმეორედ განხორციელებულ სამუშაოებზე ხარჯების გაწევის მიუხედავად, ბიუჯეტს ზიანი არ მიაღწა, ვინაიდან საჯარიმო სანქციებით ამოღებული თანხები სრულად ფარავს ხელმეორედ ჩატარებულ სამუშაოებზე გაწეულ ხარჯებს.

პრეზიდენტი მიუთითებს, რომ შეწყვეტილი ხელშეკრულებებიდან გამომდინარე საჯარიმო სანქციების დაკისრება ვერ იქნება შეპირისპირებული ახალი ხელშეკრულებების ფარგლებში ხელმეორედ განხორციელებულ სამუშაოებზე დამატებითი ხარჯის გაწევასთან, ბიუჯეტისთვის მიყენებული ზიანის კომპენსირების თვალსაზრისით, ვინაიდან: ერთი ხელშეკრულების ფარგლებში არასათანადო შესრულების გამო დაკისრებული ფინანსური პასუხისმგებლობა, ვერ გაქვითავს სხვა ხელშეკრულების ფარგლებში არასათანადო შესრულების შემთხვევაში, ფინანსურ პასუხისმგებლობას; ამასთანავე, არც არითმეტიკული გაანგარიშების თვალსაზრისით შემცირდება ზიანის ოდენობა, ვინაიდან, თუ ხელმეორედ ჩასატარებელ სამუშაოებზე საბიუჯეტო ხარჯი არ იქნებოდა, მაშინ დარიცხული საჯარიმო სანქციის თანხები გაზრდიდა საბიუჯეტო თანხებს.

ამასთანავე, პრეზიდენტი შესაძლებლად მიიჩნევს, აუდიტის ანგარიშში მიეთითოს ინფორმაცია საჩივრის ავტორის განმარტების თაობაზე, რომ ფონდის მიერ წარდგენილია სასარჩელო მოთხოვნები შეწყვეტილი ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, ჯარიმების დაკისრებასთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის ამავე ქვეთავში მოცემულ N7, N8 და N9 დანართებს და მიუთითებს იქ მოცემულ ცხრილებში დაშვებულ არითმეტიკულ უზუსტობებზე.

პრეზიდენტმა აუდიტის მასალებში დაცული მონაცემების შესწავლით დაადგინა, რომ დასახელებულ ცხრილებში მოცემული ხელმეორედ განხორციელებულ სამუშაოებზე ანაზღაურებული თანხების ჯამური მონაცემები არის ზუსტი, თუმცა იმისათვის, რომ აუდიტის ობიექტისთვის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის უფრო მარტივად აღქმადი გახდეს აღნიშნული მონაცემების დაანგარიშების პრინციპი, პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ამ თვალსაზრისით, აუდიტის ანგარიშში უნდა განხორციელდეს შესაბამისი კორექტირებები.

გ) პრეზიდენტი მიუთითებს, რომ საჩივრის ავტორის მოთხოვნა, აუდიტის ანგარიშიდან ამოღებულ იქნეს სკოლების ბრტყელ გადახურვასთან დაკავშირებით დაფიქსირებული აუდიტორული მიგნება, დაუსაბუთებელია, ვინაიდან: ფონდმა ვერც აუდიტის პროცესში და ვერც საჩივრის ზეპირ განხილვაზე ვერ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები საგამონაკლისოდ ქალაქ რუსთავის N25 საჯარო სკოლის გადახურვისთვის ოთხი ფენა ჰიდროიზოლაციის მოწყობის საჭიროებისა და ამ მიზნით გაწეული ხარჯის მიზნობრიობის დასადასტურებლად.

12. ქვეთავი 2.15 – პროგრამის ბიუჯეტის დაგეგმვის, შესრულების და ანგარიშგების ნაკლოვანებები

პრეზიდენტი არ ეთანხმება საჩივრის ავტორის მოთხოვნას აუდიტის ანგარიშის 2.15 ქვეთავის ბათილად ცნობის შესახებ და აღნიშნავს, რომ „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის

მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანების შესაბამისად, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც მოიცავს ღონისძიებების აღწერას, დასაბუთებას, ინფორმაციას განმახორციელებლის და განხორციელების ვადების შესახებ, ასევე არსებული ან/და საჭირო დაფინანსების მოცულობას, მოსალოდნელ შედეგებს და შესრულების შეფასების ინდიკატორებს. საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის ქვეპროგრამის (პროგრამული კოდი – 25 07 01) განმახორციელებელია ფონდი, რომელიც საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირია და უშუალოდ არის პასუხისმგებელი აღნიშნული პროგრამის განხორციელებაზე. ამდენად, ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიიდან გამომდინარე, პროგრამული კოდით – 25 07 01, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის დადგენილი კრიტერიუმებით მომზადებაზე, პროცესის სხვა მონაწილეებთან ერთად, პასუხისმგებელ პირს წარმოადგენდა ფონდი.

პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ აუდიტის ჯგუფის მიერ საკითხი სწორად არის შეფასებული და საჩივრის ავტორის არგუმენტაცია ვერ ადასტურებს სადავო საკითხის ბათილად ცნობის მოთხოვნის საფუძვლიანობას.

III სარეზოლუციო ნაწილი

იხელმძღვანელა რა „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 27-ე მუხლის მე-4 პუნქტით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2013 წლის 1 თებერვლის N14/37 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის“ მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-4 პუნქტით, მე-9 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით,

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდენტმა გადაწყვიტა:

1. ფონდის საჩივარი (N5781/29, 19.02.2025წ.) დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ:

1.1 აუდიტის ანგარიშის 2.1, 2.3, 2.7, 2.9, 2.11, 2.14 ქვეთავებში განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები.

1.2 აუდიტის ანგარიშის 2.5 ქვეთავი ამოღებულ იქნეს.

1.3 აუდიტის ანგარიშის 2.2, 2.4, 2.8, 2.10, 2.15 ქვეთავები დარჩეს უცვლელად.

2. გადაწყვეტილება გაეგზავნოთ დაინტერესებულ მხარეებს: სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს და ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტს.

ცოტნე ყავლაშვილი
გენერალური აუდიტორი



გენერალური აუდიტორის მოადგილე
შეყილაძე ზაზა



გიორგი კეკელიშვილი
საერთო დანიშნულების სახელმწიფო
მომსახურების სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი




სახელმწიფო აუდიტის სამსახური / თავდაცვის,
საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების
სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
შენგელია ფრიდონ



სახელმწიფო აუდიტის სამსახური / სოციალური სფეროს
აუდიტის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
მარიამ ზაალიშვილი



სახელმწიფო აუდიტის სამსახური /
თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
გიორგი მამრიკიშვილი



ნოე ქაშიბაძე
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი



სახელმწიფო აუდიტის სამსახური / ეფექტიანობის აუდიტის
დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
გიორგი კაპანაძე




სახელმწიფო აუდიტის სამსახური / ინფორმაციული
ტექნოლოგიების ადმინისტრირების დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
გაჩეჩილაძე გიორგი



ცოტნე ქარქაშაძე

სახელმწიფო ბიუჯეტისა და სტრატეგიული
ანალიზის დეპარტამენტის უფროსი



ალექსანდრე გოგოლაშვილი

აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი



ნატო ზაალიშვილი

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი



სახელმწიფო აუდიტის სამსახური / შიდა აუდიტის
დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ზაზა გელაშვილი

